

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

თეა ჯანჯალაშვილი

პაროდონტიტის მკურნალობის მეთოდების ეფექტურობის შეფასება სპეციფიკური
კლინიკო-ლაბორატორიული მარკერებით

/კლინიკური კვლევა/

დისერტაცია

სტომატოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



თბილისი 2022

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პაროდონტის და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებების დეპარტამენტის და სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო-კვლევითი ცენტრის უნიდენტის ბაზაზე. ლაბორატორიული ნაწილი შესრულდა სამედიცინო ცენტრში "მრჩეველი".

სამეცნიერო ხელმძღვანელი :

მანანა ივერიელი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პაროდონტის და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედ.მეც. დოქტორი, პროფესორი; საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

ექსპერტები:

დარეჯან ჩიკვილაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედ. მეც. დოქტორი, პროფესორი

თამარ შიშნიაშვილი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედ.მეც. დოქტორი, პროფესორი

ირინა ბარბაქაძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტ პროფესორი, სტომატოლოგიის აკადემიური დოქტორი

დისერტაციის წინასწარი განხილვა შედგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პაროდონტის და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებების დეპარტამენტის და საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის გაერთიანებულ სხდომაზე (28 სექტემბერი 2022 წელი, ოქმი No2).

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ვაჟა-ფშაველას გამზირი 29).

დისერტაციის დაცვა შედგება 2023 წლის 31 იანვარს, 16:00 საათზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის დისერტაციების დაცვის დარბაზში (ვაჟა-ფშაველას გამზირი 33)

Tbilisi State Medical University

Tea Janjalashvili

**Evaluation of the Effectiveness of Periodontitis Treatment Methods with Specific
Clinical-Laboratory Markers**

Abstract of Dissertation Thesis for the Academic Degree of PhD in Dentistry



Tbilisi

2022

The scientific study was done on the basis of the Periodontal and Oral Mucosa Diseases Department of Tbilisi State Medical University; Dental Clinic, Training and Research Center UniDent; Laboratory part of the study was performed at the Medical Center "MRCHEVELI".

Scientific Supervisor:

Manana Iverieli - MD,PhD, Professor, Head of Department of the Periodontal and Oral Mucosa Diseases, Tbilisi State Medical University; Vice-President of Georgian Professional Dental Association

Experts:

Darejan Chikviladze – MD,PhD, Professor of Microbiology Department, Tbilisi State Medical University

Tamar Shishniashvili - MD,PhD, Professor of Children and Adolescents Therapeutic Dentistry Department, Tbilisi State Medical University

Irina Barbakadze – PhD, Assistant Professor of Therapeutic Dentistry, Faculty of Medicine, Tbilisi State University

A preliminary discussion of the PhD thesis was held at a joint session of the Georgian Dental Professional Association and the Periodontal and Oral Mucosa Diseases Department of Tbilisi State Medical University (28 September 2022, Protocol No2).

The thesis defense will take place on 31th of January, 2023, at 16:00 in the Dissertation hall, the first floor of the administrative building, Tbilisi State Medical University (33, Vazha- Pshavela Ave).

სარჩევი -----	5
შესავალი -----	6
პუბლიკაციები -----	8
მოხსენებები -----	9
თავი 1 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა -----	10
1.1.კლასიფიკაცია-----	10
1.2.პაროდონტის კომპლექსის დაავადებათა ეტიოლოგია და პათოგენეზი-	12
1.3.პაროდონტიტის გავლენა სისტემურ დაავადებებზე-----	17
1.4.პაროდონტის კომპლექსის ანთებითი დაავადებების შეფასების კრიტერიუმები-----	22
1.5.პაროდონტის კომპლექსის მკურნალობა-----	26
თავი 2 კლინიკური კვლევის ობიექტი, მასალა და მეთოდები-----	37
2.1.კლინიკური კვლევის ობიექტი-----	37
2.2.კლინიკური კვლევის მასალა და მეთოდები-----	37
2.3.მიკრობიოლოგიური კვლევის მასალა და მეთოდები-----	43
2.4.სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები საკვლევ ჯგუფებში -----	45
თავი 3 საკუთარი კვლევის შედეგები-----	47
3.1.კლინიკური კვლევის შედეგები მკურნალობამდე -----	47
3.2.პაციენტთა კლინიკური გამოკვლევა მკურნალობის შემდეგ -----	51
3.2.1. I ჯგუფი- მკურნალობა ვექტორ სისტემით -----	52
3.2.2. II ჯგუფი-მკურნალობა დიოდური ლაზერით -----	71
3.2.3. III ჯგუფი-მკურნალობა ვექტორ სისტემით და დიოდური ლაზერით-----	87
თავი 4 კვლევის შედეგების განსჯა-----	100
თავი 5 დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები-----	106
თავი 6 გამოყენებული ლიტერატურა -----	108
თავი 7 ინგლისური ენოვანი რეზიუმე -----	125
თავი 8 დანართი (პუბლიკაციები)-----	134

შესავალი

კვლევის აქტუალობა

პაროდონტის კომპლექსის ანთებითი დაავადებები კაცობრიობის ყველაზე გავრცელებულ დაავადებებად ითვლება (გინესის მსოფლიო რეკორდები 2001). გლობალურ დაავადებათა სიმძიმის შემსწავლელი ორგანიზაცია (GBD, 1990–2010) მიაჩნებს, რომ მძიმე ფორმის პაროდონტიტი მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს შორის მე-6 ადგილზეა, ხოლო 1990 წლიდან 2010 წლამდე 743 მილიონი ადამიანია დაზარალებული და პაროდონტის დაავადების მაჩვენებელი გაზრდილია 57.3%-ით. თავის მხრივ სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობს მისი ასაკობრივი ბარიერის დაწვეის ტენდენცია [43,69,95,112,126].

მთელს მსოფლიოში, მოზრდილ პოპულაციაში პაროდონტიტი კბილების დაკარგვის უმთავრესი მიზეზია. ეს ადამიანები განიცდიან კბილების მრავლობითი დაკარგვის და ლექვითი დისფუნქციის რისკს, რაც გავლენას ახდენს მათ კვებაზე, ცხოვრების ხარისხზე და თვითშეფასებაზე, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ზრდის ჯანდაცვის დანახარჯებს. პაროდონტიტის საერთო პრევალენტობა ასაკთან ერთად მატულობს, ავადობა მკვეთრად იზრდება 30-40 წლის ასაკში. პაროდონტიტი არაპროპორციულად აისახება მოსახლეობის დაუცველ სეგმენტებზე და წარმოადგენს სოციალური უთანასწორობის წყაროს [16,23,28,77,153].

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო-ის) რეკომენდაციით პაროდონტის ეპიდემიოლოგიური სტატუსის შესწავლისას მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები [1,51,94]:

- სოციალური (ასაკი, სქესი, რასა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა),
- ადგილობრივი (მიკრობული ყაეთანი, ოკლუზიური ტრავმა და სხვა),
- იატროგენული (რესტავრაციების, პროტეზირებისა და ორთოდონტული მკურნალობის დეფექტები),

- სისტემური (პუბერტატულ ასაკში, ორსულობისა და მენოპაუზის დროს პაროდონტში მიმდინარე ჰორმონული ცვლილებები),
- მავნე ჩვევები (პირის ღრუს ჰიგიენის დაუცველობა, მწეველობა),
- ცვლილებები სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატების მიღებისას.

პაროდონტის ანთებითი ბუნების დაავადებები შეიძლება განვიხილოთ როგორც თანაფარდობის დარღვევის შედეგი ბაქტერიულ სიმბიოზსა და პირის ღრუს ექსოვილებს შორის. დაავადების განვითარებაში ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს ღრძილის მარგინალური ინფიცირება წარმოადგენს, რომელიც დაავადების დაწყებით სტადიაში დაცვითი იმუნური პასუხის - ანთებითი რეაქციის ჩამოყალიბებას განაპირობებს, რაც შემდეგ პათოლოგიურ პროცესში გადადის [39,68,129,144].

ამდენად, გასაგებია, რომ პაროდონტიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უახლესი მეთოდების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა თანამედროვე სტომატოლოგიის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს.

სწორედ ამ აქტუალური საკითხის გადაწყვეტას ეძღვნება სადისერტაციო ნაშრომი.

კვლევის მიზანი:

პაროდონტიტის მკურნალობის მეთოდების ეფექტურობის შეფასება სპეციფიკური კლინიკო-ლაბორატორიული მარკერებით.

მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანები:

1. პაროდონტიტის კომპლექსური მკურნალობის კონსერვატიული მეთოდების: ვექტორ სისტემის, დიოდური ლაზერის, ვექტორ სისტემის და დიოდური ლაზერის კომბინირებული თერაპიის ეფექტურობის შეფასება.
2. პაროდონტულ ჯიბეებში პაროდონტოპათოგენური მარკერების თვისობრივ-რაოდენობრივი მაჩვენებლების შესწავლა მკურნალობის დაწყებამდე და მის შემდეგ, Micro-Ident მოლეკულურ გენეტიკური კომბინირებული ანალიზით, რომელიც დაფუძნებულია DNA-Strip ტექნოლოგიაზე და პაროდონტოპათოგენური ხუთი ბაქტერიის იდენტიფიკაციის საშუალებას

იდლევა. კერძოდ: *Aggregatibacter actinomycetemcomitans**, *Porphyromonas gingivalis*, *Prevotella intermedia*, *Tannerella forsythia** და *Treponema denticola*.

სამედიცინო სიახლე:

- პაროდონტულ ჯიბეში პაროდონტული მარკერების PCR კვლევით შესწავლილია პაროდონტოპათოგენური ბაქტერიების თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები მკურნალობის დაწყებამდე და მის შემდეგ;
- შედარებულია პაროდონტიტის მკურნალობის თერაპიის სხვადასხვა ფორმის: ვექტორ სისტემის, დიოდური ლაზერის, ვექტორ სისტემის და დიოდური ლაზერის კომბინირებული თერაპიის ეფექტურობა და დადასტურებულია პაროდონტული მარკერების რაოდენობრივი ცვლილებებით.

პუბლიკაციები:

1. ჯანჯალაშვილი თ., ივერიელი მ.
Vector-სისტემის მკურნალობის ეფექტურობის შეფასება ლაბორატორიული მეთოდით. თსსუ შრომათა კრებული, 2015; 49: 151-153.
2. ივერიელი მ., ჯანჯალაშვილი თ.
პაროდონტიტის ვექტორ სისტემით მკურნალობის შეფასების ობიექტური კრიტერიუმი - პაროდონტული მარკერები მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ. თსსუ შრომათა კრებული, 2016; 50:63-66.
3. ჯანჯალაშვილი თ., ივერიელი მ.
ლაზეროთერაპია პაროდონტიტის კომპლექსურ მკურნალობაში. თსსუ შრომათა კრებული, 2020; 54:187-190.
4. T. Janjalashvili, M. Iverieli
Encounter Frequency of Periodontopathogenic Bacteria in the Periodontal Pockets.
Georgian Medical News, 6(315) 2021, 56-60.

* 2018 წლამდე *Actinobacillus Actinomycetemcomitans* , *Bacteroides Forsythus*

* 2018 წლიდან *Aggregatibacter Actinomycetemcomitans*, *Tannerella Forsythia*

5. თ. ჯანჯალაშვილი, მ ივერიელი

პაროდონტიტის მკურნალობის მეთოდების ეფექტურობის შეფასება სპეციფიკური კლინიკო-ლაბორატორიული მარკერებით. JECM 2022/6;135-140.

მოხსენებები:

1. პაროდონტული მარკერები - პაროდონტიტის მკურნალობის მეთოდების ეფექტურობის დიფერენციული შეფასების კორელატები. სტომატოლოგთა მესამე საერთაშორისო საშემოდგომო სემინარი, 9-11 სექტემბერი 2017 წ., ლოპოტა, საქართველო.
2. დახურული კიურეტაჟის საბაზისო ტექნიკა და გამოყენებული საშუალებები. კონფერენცია - თანამედროვე სტომატოლოგიის გამოწვევები და მათი გადაჭრის რაციონალური გზები. 12-14 ივლისი 2019 წ., ქუთაისი, საქართველო.

თავი 1. სამედიცინო ლიტერატურის მიმოხილვა:

1.1. კლასიფიკაცია

პაროდონტის ანთებითი დაავადებების შესახებ ცნობები ასწლეულებს ითვლის. პირველი ცნობა გვხვდება ავიცენას ტრაქტატებში 960-1037 წლებში. შემდგომში მისი სისტემატიზაცია ორი ნოზოლოგიური ფორმით მოახდინა იტალიელმა ექიმმა, მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა Girolamo Cardano-მ 1501-1576 წწ., XVIII საუკუნეში P.Fouchard-მა დაავადებებს, რომლებიც ხასიათდებოდა ღრძილის ანთებით, ჩირქდენითა და კბილების მორყევით „ცრუ სურავანდი“ უწოდა. მოგვიანებით, 1863 წელს, ტერმინი “ალვეოლური პიორეა” შემოიტანა A.Toirac-მა [1].

1936 წელს F.M.Wecki-მ გამოყო პაროდონტის ანთებითი, დისტროფიული და სიმსივნური დაავადებები და შესაბამისად შემოიტანა ტერმინები: პაროდონტიტი, პაროდონტოზი და პაროდონტომა.

1983 წელს მიღებულ იქნა სამუშაო-კლინიკური კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ნოზოლოგიების კლინიკური ფორმა, მიმდინარეობა, სიმძიმე და გავრცელება, მასში დიფერენცირდა პაროდონტის დაავადებების კლინიკურ-მორფოლოგიური თავისებურებები, კერძოდ: ანთება, დისტროფია, პაროდონტის იდიოპათიური დაავადებები და სიმსივნური დაზიანებები.

M. Lisgarten-ის მიერ 1986 წელს, ხოლო K. Watanabe-ს მიერ 1991 წელს მოწოდებული იქნა პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის დაავადებათა შემდეგი კლასიფიკაცია:

- I. პრეპუბერტული პაროდონტიტი (7-11წ.),
- II. იუვენილური პაროდონტიტი (11-21წ.),
- III. მოზრდილთა სწრაფად პროგრესირებადი პაროდონტიტი (21-35წ.),
- IV. მოზრდილთა პაროდონტიტი.

1999 წელს კი ამერიკის პაროდონტოლოგთა აკადემიამ და ევროპის პაროდონტოლოგთა ფედერაციამ შეიმუშავეს პაროდონტის დაავადებათა ახალი

კლასიფიკაცია (Armitage G.C.) [10,23,50,67,120]. ამ კლასიფიკაციის მიხედვით პაროდონტის დაავადებები იყოფა 8 ძირითად ჯგუფად (იხ. ცხრილი N1).

ცხრილი N1. პაროდონტის დაავადებათა კლასიფიკაცია (Armitage G.C. 1999 წ.)

ჯგუფი	პაროდონტის დაავადებები
I	ღრმილების დაავადებები
II	ქრონიკული პაროდონტიტი
III	აგრესიული პაროდონტიტი
IV	პაროდონტიტი, როგორც სისტემური დაავადებების გამოვლინება
V	პაროდონტის ნეკროზული დაზიანებები
VI	პაროდონტული აბსცესები
VII	პაროდონტიტი შერწყმული ენდოდონტის დაზიანებებთან
VIII	თანდაყოლილი და შეძენილი მანკები და ანომალიები

ევროპის პაროდონტოლოგთა ფედერაციის (European Federation of Periodontology (EFP)) და ამერიკის პაროდონტოლოგთა აკადემიის (American Academy of Periodontology (AAP)) მიერ 2018 წელს ამსტერდამში მოწოდებული იქნა „პაროდონტის და პერი-იმპლანტის დაავადებების და მდგომარეობების კლასიფიკაცია“ (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N2. პაროდონტისა და პერი-იმპლანტის დაავადებების და მდგომარეობების კლასიფიკაცია

პაროდონტის ჯანმრთელობა, ღრმის დაავადებები და მდგომარეობები			პაროდონტიტის ფორმები			პაროდონტზე მოქმედი სხვა მდგომარეობები				
პაროდონ- ტისა და ღრმის ჯანმრთე- ლობა	გინგი- ვიტი: გამო- წვეული ბიო- აპკით	ღრმის დაავადე- ბები: არ არის გამოწვეუ- ლი ბიოაპკით	პარო- დონტის ნეკრო- ზული დაავადებე- ბი	პარო- დონ- ტიტი	პაროდონ- ტიტი, როგორც სისტე- მური დაავადე- ბების მანიფესტა- ცია	სისტემური დაავადებე- ბის ან მდგომარე- ობების გავლენა პაროდონტის ქსოვილებზე	პაროდონ- ტული აბსცესები და ენდო- პარო- დონტული დაზიანებე- ბი	მუკოვინგი- ვური დეფორმა- ციები და მდგომარე- ობები	ტრავმული ოკლუზიის მალები	კბილთან და პროთეზირე- ბასთან დაკავშირებული ფაქტორები

პერი-იმპლანტის დაავადებები და მდგომარეობები			
პერი-იმპლანტის ჯანმრთელობა	პერი-იმპლანტის მუკოზიტი	პერი-იმპლანტიტი	პერი-იმპლანტის რბილი და მაგარი ქსოვილების დეფიციტები

1.2. პაროდონტის კომპლექსის დაავადებათა ეტიოლოგია და პათოგენეზი

პაროდონტიტი ქრონიკული მულტიფაქტორული დაავადებაა, რომელიც ასოცირდება კბილის ბიოაპკის დისბიოზთან. პაროდონტის ქსოვილების ანთებითი პროცესების განვითარების ძირითადი მიზეზი ინფექციური ბუნების ეტიოლოგიური ფაქტორია. [52,68,72,138,139,142,145].

პაროდონტის დაავადებათა ეტიოლოგიაში განმსაზღვრელია სამი ფაქტორი:

- ბიოაპკში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესები,

- პირის ღრუს ფაქტორები, რომელთაც უნარი შესწევთ გააძლიერონ ან შეასუსტონ მიკროორგანიზმების და მათი ცვლის პროდუქტების პათოგენური პოტენციალი,
- ზოგადი ფაქტორები, რომლებიც არეგულირებენ მეტაბოლიზმის პროცესებს პირის ღრუს ქსოვილებში.

ასწლეულების მანძილზე მიმდინარეობდა ძიება პაროდონტიტის წარმოშობის ბაქტერიული მიზეზების გარშემო [56,116,117,145].

ადრეულ პერიოდში დომინირებდა კბილის ნადების არასპეციფიკურობის ჰიპოთეზა. მაგრამ 1970-წ-დან ითვლება, რომ პაროდონტის კომპლექსის ანთებითი დაავადების გამომწვევი ძირითადი მიზეზი, სპეციფიკური ბაქტერიებია [120,154]. ჯერ კიდევ 1998 წელს S.S.Socransky-მ და თანაავტორებმა დაადგინეს, რომ პაროდონტიტის ეტიოლოგიაში მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი მკაცრი ანაერობებია - ე.წ “პაროდონტული მარკერები”. პაროდონტიტის გამომწვევ უხშირეს მიზეზს ბაქტერიათა უნიკალური ჯგუფი წარმოადგენს. ესენია: *Aggregatibacter actinomycetemcomitans*, *Porphyromonas gingivalis*, *Prevotella intermedia*, *Tannerella forsythia*, *Treponema denticola*. ისინი აქტიურად ანადგურებენ რა უჯრედებს იწვევენ ანთებით რეაქციას და პასუხისმგებელი არიან პაროდონტიტისა და პერიიმპლანტიტის ჩამოყალიბებაზე [13,20,35,37,54,59,64,67,71,78,85,89,138,140,147].

მიუხედავად ზემოთქმულისა, ყველა პაროდონტოგენური მიკროორგანიზმი ჯერ კიდევ არ არის იდენტიფიცირებული. ცხრილში N3 მოყვანილია მეტად პათოგენური ბაქტერიები, რომელთა პოტენციურ პათოგენობაზე სოკრანსკის თეორია (S.S.Socransky, A.D. Haffajee 1992, M.Tonetti 1994) მიაწინებს [4,24,84,90,130,135,143].

ცხრილი N3. ბაქტერიების პათოგენობის მაჩვენებლები

გამოკვლეული სახეობები	კავშირი	მკურნალობის შემდეგ	ორგანიზმის რეაქცია	ვირულენტობის ფაქტორი
<i>Aggregatibacter actinomycetemcomitans</i>	+++	+++	+++	+++ ლეიკოტოქსინი, შეჰრა
<i>Porphyromonas gingivalis</i>	+++	+++	+++	+++ პროტეოლიზური, კაფსულა
<i>Prevotella intermedia</i>	+++	++	++	+++ პროტეოლიზური
<i>Tannerella forsythia</i>	+++	++	+	+++ პროტეოლიზური
<i>Treponema denticola</i>	++	+++	+	+ პროტეოლიზური, მოძრავი

დადგენილია, რომ პაროდონტიტს წინ უსწრებს გინგივიტი სხვადასხვა ხარისხის გამოვლინებით [56,112,122,137,155]. პათოლოგიური ცვლილებები, რომელიც ახლავს გინგივიტს, შეუღლებულია მიკროორგანიზმების არსებობასთან ღრძილის ღარში.

ამ ორგანიზმებს საზიანო პროდუქტის სინთეზირების უნარი შესწევთ, რაც ეპითელური და შემაერთებელი ქსოვილის დაზიანებას იწვევს [39,52,95,123,127,138]. შედეგად, ადრეული გინგივიტის დროს, ეპითელურ უჯრედებს შორის წარმოქმნილი სივრცე, შესაძლოა გამოიწვიოს ბაქტერიის გამაღიზიანებელი აგენტის შეტანამ ან თავად ბაქტერიის შეღწევამ შემაერთებელ ქსოვილში [44,57,83,60,68].

ბოლო წლებში პაროდონტის კომპლექსის ეტიოლოგიის მიმართ ჩამოყალიბდა ახალი მიდგომა. თავიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითად განმსაზღვრელ

ფაქტორად განიხილებოდა ბაქტერია. ნაჩვენებია, რომ გარკვეული პათოგენური სახეობები შეუღლებულია პაროდონტის კომპლექსის სხვადასხვა დაავადებებთან და მათი პროგრესირების სისწრაფესთან. თუმცა პათოგენური ბაქტერიების არსებობა და გავრცელება/განთავსება ყოველთვის არ შეიძლება მივაკუთვნოთ პაროდონტიტის კლინიკურ წარმოშობას და განვითარებას [15,52,64,110]. უფრო

მეტიც, დადასტურებულია, რომ პაროდონტულ ჯიბეებში არსებული ბაქტერიები, ყოველთვის ჯიბის ჩამოყალიბების მიზეზი არ არის. თავის მხრივ, ჯიბე ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს პათოგენური მიკროორგანიზმების არსებობისა და გამრავლებისათვის. იკვრება მანკიერი წრე, რომელიც ხელს უწყობს დაავადების განვითარებას [1,41,63,82,139].

აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ არ შეიძლება უარვყოთ, რომ “თუ არ არის ბაქტერია არ არის პაროდონტიტი”. მეორეს მხრივ, ბაქტერიები, მათ შორის პაროდონტოპათოგენური, ყოველთვის არ წარმოშობს პაროდონტიტს. იმისთვის, რომ გინგივიტი გადავიდეს პაროდონტიტში არა მხოლოდ სპეციფიკური მიკროორგანიზმებია საჭირო, ასევე მეტად საყურადღებოა იმუნური რეაქციები, რომელიც პათოგენური ზემოქმედების შედეგად ვითარდება და დღეისთვის კარგადაა შესწავლილი. განსაკუთრებული სიმღიერით გამორჩეული გამაღიზიანებელი ფაქტორის ზემოქმედების შემთხვევაში ვითარდება უჯრედების იმუნოპათოლოგიური დაზიანება [29,131,133].

იმუნური რეაქციების მიღმა, რომელიც გენეტიკურად არსებობს, გამოიყოფა მრავლობითი ინდივიდური რისკის ფაქტორები, რომლებზეც შესაძლოა იყოს დამოკიდებული დაავადების კლინიკური საწყისი და სიმძიმის ხარისხი. სხვა ფაქტორებს განეკუთვნება: სისტემური დაავადებები, ვირუსები, სოციალური ფაქტორები (სტრესი, ფსიქოლოგიური ფაქტორები, მავნე ჩვევები: კვება, მწველობა, ალკოჰოლი, მედიკამენტები). მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, მაგალითად მწველობა აზიანებს უშუალოდ პაროდონტის ქსოვილს. ეს რისკ ფაქტორები უპირატეს გავლენას ახდენს იმუნურ სისტემაზე. ირღვევა დამაზიანებლის (ბაქტერია) და დამცველობითი ძალების (ორგანიზმის რეაქცია) სუსტი წონასწორობა. მათ შესაძლოა გაზარდონ ანთების რისკი ან გააუარესონ არსებული ანთებითი პროცესი [27,35,36,52,93,134].

ყოველივე ზემოთქმულიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პაროდონტიტს ექნება უფრო მძიმე, აგრესიული მიმდინარეობა, თუ ბაქტერიული ფლორა განსაკუთრებით ვირულენტურია და ორგანიზმის რეაქციები (იმუნური სისტემა) კი შესუსტებული.

არსებობს პაროდონტის კომპლექსის ანთებითი განვითარების კლასიკური და ოპორტუნისტული თეორია.

პაროდონტიტი არ წარმოადგენს კლასიკურ ინფექციას. კლასიკურ ინფექციად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ პაროდონტიტი, რომლის გამომწვევია *Aggregatibacter actinomycetemcomitans*, *Porphyromonas gingivalis*, *Prevotella intermedia* [42,53,100,119].

ოპორტუნისტული მიკროორგანიზმები ავლენენ პათოგენობას მხოლოდ მიკროორგანიზმების შესუსტებული დამცველობითი რეაქციების დროს. ისინი შედიან ნორმალური მიკროფლორის შემადგენლობაში და ჩვეულ მდგომარეობაში არ აყენებენ ორგანიზმს ზიანს. ჰენლე და კოხის თეორიის თანახმად (F.G.J. Henle & H.H.R. Kohe) ორგანიზმის დამცველობითი რეაქციები ვერ უძლებენ მაღალი ვირულენტობის მქონე სპეციფიკური ბაქტერიების ზეწოლას. თუმცა, ასევე, წინააღმდეგობის შესუსტების, რისკფაქტორების არსებობის და/ან იმუნოდეფიციტის დროს შესაძლოა მოხდეს სუსტი ვირულენტობის მქონე ბაქტერიების სელექციური გამრავლება და განვითარდეს ოპორტუნისტული რეაქციები. ეს სიტუაცია შეესაბამება სოკრანსკის თეორიას (S.S. Sokransky, A.D. Haffajee 1992) [98,115].

ამდენად, ბაქტერიის დესტრუქციული პოტენციალი დამოკიდებულია, ერთის მხრივ, ბაქტერიის ფარდობით რაოდენობაზე საერთო ბაქტერიული ფლორიდან და მეორეს მხრივ ე.წ. ვირულენტობის ფაქტორზე. ვირულენტური ფაქტორის მქონე ბაქტერია (უფრო ხშირად გრამუარყოფითი) პაროდონტულ ჯიბეში დიდი რაოდენობით აღინიშნება როცა მიმდინარეობს ძვლის აქტიური დესტრუქცია [36,50,58,147].

თავის მხრივ, ვირულენტობა მრავალმხრივი მოვლენაა ის დამოკიდებულია: ბაქტერიის პათოგენურ პოტენციალზე, გარემო პირობებზე, მიკროორგანიზმებთან უთიერთქმედებაზე. ვირულენტური ბაქტერიებისთვის აუცილებელია მის წინააღმდეგ “მებრძოლი” ძალები, ასევე, აუცილებელია პაროდონტიტის გამოსაწვევად მიკროორგანიზმები:

- განლაგდენ მასპინძელი ორგანიზმის სიახლოვეს,

- არ უნდა იქნას გამორეცხილი ნერწყვით ან ექსუდატით,
- შესაძლებლობა უნდა ქონდეთ საკმარისი საკვები ნივთიერების მიღების,
- მასპინძელ ორგანიზმს და სხვა ბაქტერიებს უნდა შეეძლოთ, ამ დამცველობითი ძალების გაძლიერება,

ბაქტერიის როლი, როგორც გინგივიტის და პაროდონტიტის პირველადი ეტიოლოგიური ფაქტორი, ეჭვგარეშეა. იმისთვის, რომ გინგივიტი გადავიდეს პაროდონტიტში აუცილებელია ბაქტერიული მარკერების არსებობა. ეს არის ე.წ. „წითელი კომპლექსი“ ჰიდროლიზებული ბენზოილარგინინი-2-ნაფტილამიდ ბაქტერიები *A.actinomycetemcomitans*, *P.gingivalis*, *T.forsythia*, *T.denticola*.

დღეისთვის, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა, რომ პაროდონტიტი პოლიეტოლოგიური ბუნებისაა და დამოკიდებულია ადგილობრივ და ზოგად ფაქტორებზე.

1.3. პაროდონტიტის გავლენა სისტემურ დაავადებებზე

უკანასკნელი კვლევებით მწველობა, სტრესი, გენეტიკური ფაქტორი, ზოგადი დაავადებები, მედიკამენტები და მავნე ჩვევები ასევე შეიძლება იყოს ანთების ხელშემწყობი ფაქტორი. მათ შესაძლოა გაზარდონ ანთების რისკი ან გააუარესონ არსებული ანთებითი პროცესი [27,29,101,150,155].

რაც შეეხება მაკროორგანიზმებისა და გარემო პირობების ურთიერთკავშირს, ე.წ. მეორადი ეტიოლოგიური ფაქტორები ანუ “რისკ-ფაქტორები” გავლენას ახდენს დაავადების წარმოქმნაზე, განვითარებასა და კლინიკური სურათის სიმძიმეზე [152]. ეს რისკ-ფაქტორები უარყოფითად მოქმედებენ ქსოვილებსა და ორგანიზმის დამცველობით სისტემაზე და ზრდიან დაავადების რისკს. აქედან გამომდინარე, რისკ- ფაქტორები შეიძლება ჩაითვალოს ისევე მნიშვნელოვნად, როგორც ბაქტერიები. დაავადების გამომწვევი რისკ-ფაქტორების კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგნაირად:

- ბაქტერიული აგენტები,
- სისტემური და ადგილობრივი (მასპინძელი ორგანიზმის ფაქტორი),

- გენეტიკური და არაგენეტიკური (მემკვიდრული და შეძენილი).

ასევე სიმარტივისთვის, რისკ-ფაქტორები შესაძლებელია დავყოთ ორ ჯგუფად, გარკვეული ზემოქმედების შედეგად ცვლადი და უცვლელი.

თავის მხრივ, გრძელდება სამეცნიერო კვლევები, რომლებიც გამოავლენენ ორგანიზმის სხვადასხვა სისტემაზე პაროდონტიტის ზემოქმედების როლს. მნიშვნელოვანი მტკიცებულებები მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ პაროდონტიტის მოქმედების და გავლენის არეალი ცდება პირის ღრუს. ბიოაპკში არსებული ბაქტერიები და მათი ცხოველმყოფელობის პროდუქტები, ასევე, ანთებით პაროდონტში წარმოქმნილი ანთების მედიატორები, ჰემატოგენური გზით ვრცელდება და გავლენას ახდენს ცალკეულ ორგანოსა თუ ორგანოთა სისტემაზე [7,40]. ამ მექანიზმების საშუალებით, პაროდონტიტი ურთიერთქმედებს სხვადასხვა სისტემურ დაავადებებთან, როგორცაა: ათეროსკლეროზი, არტერიული ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, ინსულტი, ახალშობილის მცირე წონა, სისხლში გლუკოზის დონე და სხვა. დღეისთვის უკვე დადასტურებული ფაქტია პირის ღრუს პათოლოგიებსა და სისტემურ მდგომარეობებს შორის კავშირი. აღმოჩენილია კორელაციები ბაქტერიულ ინფიცირებას, პირის ღრუში არსებულ ბაქტერიულ ბიოაპკს და პაროდონტში გამოთავისუფლებულ ციტოკინებს შორის. სისტემურ პათოლოგიასა და პირის ღრუს შორის კავშირის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ანთება [15,66,86].


პაროდონტის კომპლექსის დაავადებები პირველ ადგილს იკავებს ორგანიზმის ანთებით დაავადებებს შორის. აქედან გამომდინარე, სტომატოლოგები ახორციელებენ მნიშვნელოვან ფუნქციას არა მხოლოდ პაროდონტიტის და პერიიმპლანტიტის, არამედ სომატური დაავადებების დიაგნოსტიკაშიც.

პაროდონტოლოგია ძალიან აქტუალურია იმ კუთხითაც, რომ ორგანიზმის სერიოზული სისტემური პათოლოგიის რისკი მკვეთრად მატულობს პირის ღრუს ორგანოების და ქსოვილების ანთების დროს, ინფიცირებაზე პასუხის სახით. ამ პრობლემის მნიშვნელობის გააზრებისთვის, პირველ რიგში უნდა გავერკვეთ, როგორ ხვდებიან ბაქტერიები პაროდონტული ჯიბიდან ან პერიიმპლანტური

სივრციდან სისტემურ ცირკულაციაში (მაგალითად სისხლძარღვში). საქმე იმაშია, რომ ბაქტერიული ბიოაპკი იჭრება ეპითელიუმის დაზიანებულ უბანში, რაც პირდაპირ აკავშირებს მას სისხლის მიმოქცევის სისტემასთან [74,93].

პირის ღრუში არსებული გრამუარყოფითი მიკროორგანიზმები, აღწევენ სისხლძარღვებში და შესაძლებლობა აქვთ მოხვდნენ ნებისმიერ ორგანოში. ამდენად, პაროდონტის ქსოვილში პათოლოგიური პროცესი, თავისი არსით ქმნის ანთების მედიატორების რეზერვუარს, ან ელემენტებს, რომლებიც ანთების პასუხს აძლიერებენ. ისინი აღწევენ სისხლის მიმოქცევის სისტემაში და შეუძლიათ სისტემური ეფექტების ინდუცირება, რაც ნეგატიურად მოქმედებს პაციენტის ზოგად მდგომარეობაზე [73,75,77] (იხ.დიაგრამა N1).

დიაგრამა N1. ანთებითი პროცესის განვითარების თანმიმდევრობა



დამტკიცებულია, რომ პაროდონტის დაავადებებთან კავშირშია პათოლოგიების ოთხი დიდი ჯგუფი: გულ-სისხლძარღვთა სისტემის და თავის ტვინის სისხლძარღვების პათოლოგიები, რესპირატორული დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, ნაადრევი მშობიარობა და მცირე წონის ბავშვების შობადობა.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის და თავის ტვინის სისხლძარღვების დაავადებები:

პაროდონტის კომპლექსის ინფექციურ დაავადებებსა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის და თავის ტვინის სისხლძარღვების პათოლოგიებს შორის კავშირი დამტკიცებულია. ამ პათოლოგიურ მდგომარეობებსა (მათ შორის მათ გამწვავებებთან) და პაროდონტის დაავადებებს შორის კავშირი გამოწვეულია ცვლილებებით, რომელიც გამოვლენილია ინფიცირებით ან ანთებითი პასუხით, კორონალურ და სამილე არტერიების კედლებზე ბიოაპკის ფორმირებით, რასაც ათეროსკლეროზის განვითარებასთან მივყავართ. ამერიკის შეერთებულ შტატებში

ჩატარებული კვლევის მიხედვით “გამოვლენილია პირდაპირი კავშირი კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგსა და მიოკარდიუმის ინფარქტს შორის” მიღებული შედეგები ნათლად ასახავს პაროდონტის ქსოვილების ანთებითი პროცესების როლს მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებაში [32,44,103].

პაროდონტიტისა და პერიიმპლანტიტის მკურნალობის ჩატარების გზით შესაძლებელია გულ-სისხლძარღვთა და თავის ტვინის სისხლძარღვების დაავადებების პროგრესირების რისკის შემცირება [32,103].

პირის ღრუს, კერძოდ კი ბიოაპკის ბაქტერიები, სისხლძარღვის კედელზე არსებულ ათეროსკლეროზულ ფოლაქებზე მიმაგრებით, შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს გულის ნორმალურ ფუნქციონირებას. წარმოქმნილი თრომბები იწვევენ ობსტრუქციას და საბოლოო ჯამში შესაძლოა განავითარონ გულის პათოლოგია. ასევე, გულის კორონარული და საძილე არტერიის ათეროსკლეროზი [34,48,38,57,132].

ნაადრევი მშობიარობა და მცირე წონის ბავშვების შობადობა: კვლევები ადასტურებს მდგრად კორელაციას პაროდონტის ქსოვილების ანთებით პროცესებსა და ორსულობის პათოლოგიის რისკს შორის, ნაადრევი მშობიარობის და მცირე წონის ბავშვების შობადობის ჩათვლით. პაროდონტის კომპლექსის ქრონიკულ ანთებით დაავადებებს შეუძლიათ, ორსულებში გამოიწვიონ ანთების საპასუხო რეაქციის ინტენსივობის ზრდა, პროსტაგლანდინების მომატებული სინთეზის ხარჯზე, ნორმაში პლაცენტიდან მათი გამოთავისუფლება ხდება მშობიარობის წინ [52,57].

შაქრიანი დიაბეტი: ამ დაავადების მქონე პაციენტებში აუცილებელია პაროდონტის ქსოვილების ანთებითი პროცესის არსებობის განსაზღვრა და მონიტორინგი, იმპლანტების გარშემო ანთების კერის გამოვლენის კონტროლის მიზნით. შაქრიანი დიაბეტი მკვეთრად ამცირებს ორგანიზმის დამცველობით აქტივობას ბაქტერიულ ინფიცირებასთან ბრძოლაში. მიკრობული აგენტები გადიან ღრძილის ქსოვილებს და შეუძლიათ გამოიწვიონ ძვლის ინფიცირება და რეზორბცია. შაქრიანმა დიაბეტმა შეიძლება ხელი შეუწყოს პაროდონტიტის მძიმე და ინტენსიურ პროგრესირებას [5,26,30,31,65,132].

რესპირატორული დაავადებები: რესპირატორული პათოლოგიების შეუღლება პაროდონტიტებთან და ანთებებთან, პრევალირებს ძირითადად იმ პაციენტებში, ვინც დიდი დროით იმყოფებოდა სტაციონარებში და მოხუცთა თავშესაფრებში, სადაც ადეკვატური ჰიგიენისთვის ისინი საჭიროებდნენ დახმარებას. პაროდონტის ქსოვილების ინფიცირება და რესპირატორული პათოგენები მიკრობულ აკვში, ზრდიან ასპირაციული პნევმონიის რისკს და ზოგ შემთხვევაში იწვევენ ფილტვების ქრონიკულ ობსტრუქციულ დაავადებებს [57, 92].

მუდმივად გაფართოებული კვლევები ასევე განამტკიცებენ პაროდონტული ინფექციების პირდაპირი ზემოქმედების თეორიას სისხლძარღვების კედლებზე და მათ შემდგომ არაპირდაპირ ინდუცირებას, C-რეაქტული ცილების გამოთავისუფლებით, ღვიძლის ქსოვილებში, მწვავე ფაზის დროს [1,144]. ასეთი ცილები ღვიძლის ქსოვილში წარმოიქმნება ინფიცირებისა და ანთების საპასუხოდ, წარმოადგენენ სისხლძარღვების ანთებითი რეაქციების ერთგვარ სპეციფიკურ მარკერებს, რაც პირდაპირ, კორელაციაშია მწვავე სისხლძარღვოვან მოვლენებთან (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი N4. C რეაქტული ცილის კონცენტრაცია მგ/ლ

ნორმალური	<1,0
საშუალო	1,0-2,9
მაღალი	>3,0

C რეაქტიული ცილა, ასევე ცნობილია, როგორც პლაზმის C პროტეინები ან კარდიორეაქტიული ცილები. ისინი უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდებიან ჯანმრთელ ადამიანებშიც და მათი კონცენტრაციის ზრდა 400-500 მგ/ლ-მდე მიუთითებს მწვავე ანთების არსებობაზე.

C რეაქტიული ცილის კონცენტრაცია იზრდება მრავალი დაავადების და პირობების დროს, როგორცაა პაროდონტის კომპლექსის და კარდიოვასკულური სისტემის პათოლოგია, სხვადასხვა ტრავმა, დამწვრობა, ავთვისებიანი

ახალწარმონაქმნები, ალცჰეიმერის დაავადება, სისხლში გლუკოზის ცვლილებები, მოწევა და სიმსუქნე [97,137].

პროფილაქტიკის მიზნით C რეაქტიული ცილის გამოსავლენად შესაძლებელია მაღალმგრძობელობით გამორჩეული ტესტის ჩატარება, პირდაპირ სტომატოლოგიურ სავარძელში.

პაროდონტის კომპლექსის ანთებითი პროცესის დიაგნოზის მქონე ბევრ პაციენტს აღენიშნებათ სისხლში საშიში ბაქტერიების დიდი რაოდენობა. პაროდონტის ანთებითი პროცესები ზრდიან C-რეაქტიული ცილის, გლიკოზირებული ჰემოგლობინის დონეს[148].

HbA1c-ს დონის მატება მნიშვნელოვან ფაქტორს ასრულებს შაქრიანი დიაბეტის განვითარების კონტროლისთვის. ორივე ტესტის კორელაცია (C რეაქტიული ცილის და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების შემცველობა) ძალიან დაბალია, თუმცა არის მონაცემები, რომ სისხლძარღვოვანი პათოლოგიის ზუსტი მარკერი C რეაქტიული ცილა უფროა, ვიდრე დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების მონაცემები.

აქედან დასკვნა: C-რეაქტიული ცილის მაჩვენებლის განსაზღვრა, სტომატოლოგიური პრაქტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, ვინაიდან ადამიანის ორგანიზმში, ასაკის მატებასთან ერთად პაროდონტის ქსოვილის დაავადება უფრო ხშირი ანთებითი პროცესია.

C-რეაქტიული ცილის $>3,0$ მგ/ლ მაჩვენებლის შემთხვევაში აუცილებელია პაციენტის დაუყოვნებელი გაგზავნა ზოგად-თერაპევტთან სისტემური დაზიანების გამოსარიცხად.

1.4. პაროდონტის კომპლექსის ანთებითი დაავადებების შეფასების კრიტერიუმები

ქრონიკული პაროდონტიტი პაროდონტის კომპლექსის ანთებადი ბუნების დაავადებაა [1,41,138,139]. მისი ძირითადი კლინიკური ნიშნებია:

- ღრძილზედა და ღრძილქვეშა ქვის და ნადების არსებობა,

- დაავადების ხშირი, უმტკივნეულო მიმდინარეობა,
- ზონდირებისას სისხლდენა,
- კბილ-ღრძილოვანი შეერთების (ეპითელური შეერთების) დარღვევა,
- პაროდონტული ჯიბის წარმოქმნა.

პირველ რიგში განისაზღვრება ღრძილიდან სისხლდენის ინდექსი, ამ ინდექსის გამოთვლა აუცილებელია ყოველი შემდგომი ვიზიტის დროს, ის ზუსტად ასახავს ანთების გავრცელებას და პაციენტის მიერ რეკომენდაციის შესრულების ხარისხს.

სისხლმდენი წერტილების რაოდენობა / გამოკვლეულ კბილთა რაოდენობაზე X 100= %.

გამოკვლევის შემდეგი ეტაპი ნადების ინდექსის განსაზღვრაა, ძირითადად ნადების ვიზუალიზაციისთვის გამოიყენება სპეციალური მღებავი ნივთიერება და გამოითვლება შემდეგი ფორმულით - ნადების უბნების რაოდენობა/გამოკვლეულ კბილთა რაოდენობაზე X 100= %.

ამ ინდექსით ზუსტად ხდება პაციენტის მიერ ინდივიდური ჰიგიენის შესრულების ხარისხის შეფასება. შესაბამისად, მისი გამოყენება ასევე აუცილებელია ყოველი შემდგომი ვიზიტის დროს.

გამოკვლევის შემდეგ ეტაპზე ხდება პაროდონტული ჯიბეების სიღრმის განსაზღვრა თითოეული კბილის დისტალურ, მედიალურ, ვესტიბულურ და ორალურ ზედაპირებზე, რაც ხორციელდება პაროდონტული ზონდის საშუალებით.

ასევე ხდება ღრძილის რეცესიის რეგისტრაცია (მინანქარ-დულაბის საზღვრიდან ღრძილის კიდემდე), რაც შემდგომი დინამიკის დაკვირვებისთვის არის აუცილებელი.

ფურკაციის ჩართულობის ხარისხის განსაზღვრა ხდება მოხრილი ფურკაციული ზონდის საშუალებით

კლასი I : ზონდი ფურკაციაში ჰორიზონტალური მიმართულებით შედის 3მმ-მდე,

კლასი II: ზონდი ფურკაციაში ჰორიზონტალური მიმართულებით შედის 3მმ-ზე

მეტად, მაგრამ არ გადის გამჭოლად,

კლასი III: ზონდი ფურკაციაში ჰორიზონტალური მიმართულებით შედის გამჭოლად.

კბილების მობილობის განსაზღვრა ხდება შემდეგი ხარისხობრივი მაჩვენებლით

I ხარისხი: კბილის კლინიკური გვირგვინის ჰორიზონტალური რყევა 0,2-1 მმ,

II ხარისხი: კბილის კლინიკური გვირგვინის ჰორიზონტალური რყევა 1 მმ-ზე მეტად,

III ხარისხი: აღინიშნება კბილის რყევა ვერტიკალური მიმართულებით.

ანთებითი პროცესის გავრცელების მიხედვით აღინიშნება 2 ფორმა: ლოკალური (პათოლოგიური პროცესი ერთი ან რამდენიმე კბილის მიდამოშია) და გენერალიზებული (პათოლოგიური პროცესი თითქმის ყველა კბილის მიდამოშია).

დაავადების სიმძიმეს განსაზღვრავს კბილ-ღრძილოვანი შეერთების დარღვევის ხარისხი. ამდენად, პაროდონტიტის სიმძიმის ხარისხი გამოიხატება სამი ძირითადი სიმპტომით: პაროდონტული ჯიბის სიღრმით, ძვლოვანი ქსოვილის რეზორბციის ხარისხით და შესაბამისად, კბილების პათოლოგიური მორყევით [1,24,37,138,139,145].

მიმდინარეობა :

მსუბუქი - კბილთაშორისი ძვლოვანი ძგიდეების სიმაღლე შემცირებულია ფესვის სიგრძის 1/3-მდე; კბილ-ღრძილოვანი შეერთება დარღვეულია 1-2 მმ-ით;

საშუალო - კბილთაშორისი ძვლოვანი ძგიდეების სიმაღლე შემცირებულია ფესვის სიგრძის 1/2-მდე; კბილ-ღრძილოვანი შეერთება დარღვეულია 3-4 მმ-ით; ფურკაციის დეფექტი შეესაბამება I კლასს;

მძიმე - კბილთაშორისი ძვლოვანი ძგიდეების სიმაღლე შემცირებულია ფესვის სიგრძის 2/3-ზე და მეტად; კბილ-ღრძილოვანი შეერთება დარღვეულია 5 მმ-ზე მეტად; ფურკაციის დეფექტი შეესაბამება II-III კლასს.

პაროდონტის კომპლექსის დაავადების სიმპტომები აღინიშნება ბავშვთა, მოზარდთა და ადრეული სრულწლოვანების ასაკში, თუმცა პაროდონტის

კომპლექსის დესტრუქციული პროცესების გამომწვევი მიზეზები ასაკთან ერთად მატულობს.

პაროდონტის კომპლექსის ანთებითი დაავადებების დიაგნოზი ისმება ანამნეზის და კლინიკური გამოკვლევების (ზონდირება, კომპიუტერული, რენტგენოლოგიური გამოკვლევები) საფუძველზე [1,23,47,138,145].

პაროდონტიტის შეფასება კრიტერიუმების ოთხი ჯგუფით ხდება :

1. ანთების სიმძიმე (ანთების გამოხატულება):

- ღრძილის გარეგნული (ვიზუალური) მხარე,
- ზონდირებისას სისხლდენის ხარისხი,
- კბილების მორყევის ხარისხი.

2. ინფექციის ეტიოლოგიური კრიტერიუმები და მიკროორგანიზმების მგრძობელობა:

- ბაქტერიული ნადები,
- პათოგენური ბაქტერიები,
- რისკ ფაქტორები.

3. დაავადების სიმძიმე:

- დესტრუქციის გამოხატულება,
- კბილ-ღრძილოვანი შეერთების დაკარგვის ხარისხი,
- პაროდონტული ღრმა ჯიბეების არსებობა,
- კბილების მორყევა,
- კბილების გადანაცვლება.

4. კლინიკური შემთხვევის სიმძიმე:

- რისკის ადგილობრივი ფაქტორები,
- ფუნქციური ფაქტორები,
- ესთეტიკური ფაქტორები [2].

1.5. პაროდონტის კომპლექსის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

დადასტურებულია რა, რომ პაროდონტიტი ინფექციური და მემკვიდრული განწყობის დაავადებაა, შესაბამისად, თანამედროვე დიაგნოსტიკაც მიმართულია პაროდონტოპათოგენური ბაქტერიების აღმოჩენასა და ინდივიდური გენეტიკური რისკის შეფასებისკენ [1,3,6,76,78,87,124].

პაროდონტის კომპლექსი გამუდმებით განიცდის მექანიკურ და ბაქტერიულ აგრესიას. ამ პროცესის ბარიერულ ფუნქციას წარმოადგენს ნერწყვი, ეპითელური საფარი, ანთებითი რეაქციის საწყისი ეტაპები [19,108,144]. აქედან გამომდინარე, სულ უფრო იზრდება პაროდონტიტის გამომწვევი ფაქტორების, ორგანიზმის საპასუხო ცვლილებების და მასზე სხვადასხვა სამკურნალო საშუალებების მოქმედების შედეგად განვითარებული რეაქციების მიმართ ინტერესი.

მკურნალობა მიზნად ისახავს ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლას. ინფექციური აგენტის ზემოქმედების შემცირება ან მისი სრული აღმოფხვრა, ჩვეულებრივ, ხდება დაზიანებული კბილების, მათი ფესვებისა და კბილის ირგვლივი რბილი ქსოვილის მექანიკური დამუშავებით, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი და ზოგადი მედიკამენტური თერაპიით, რისკ-ფაქტორების მოცილებით [1,17,21,45,46,61,80,109, 141].

პაროდონტიტის დაავადებების მკურნალობის მიზანს წარმოადგენს [2]:

- პაროდონტში ანთებითი პროცესების ლიკვიდაცია,
- პაროდონტული კომპლექსის სტრუქტურისა და ფუნქციის აღდგენა,
- პირის ღრუს (ადგილობრივი) და ორგანიზმის (ზოგადი) დამცავი ფაქტორების გააქტიურება.

კონსერვატული მეთოდებით პაროდონტიტის მკურნალობის პროგრამა პირობითად შეიძლება 5 ეტაპად დაიყოს:

- კლინიკური შემთხვევის ანალიზი,
- პაციენტის ინსტრუქტაჟი,
- პირის ღრუს ინდივიდური ჰიგიენა,
- განმეორებითი დათვალიერება,

- მკურნალობის შედეგის შემანარჩუნებელი თერაპია.

მკურნალობისას ძირითადი მოთხოვნა კომპლექსური და მაქსიმალურად ინდივიდუალური მიდგომაა, რომელიც გულისხმობს: ეტიოტროპულ თერაპიას, პათოგენეზურ და სიმპტომურ მკურნალობას [2,114,125,138,145].

პაროდონტის მკურნალობის მიზანი, პირველ რიგში, ანთების ლიკვიდაცია, შემდეგ კი პაროდონტის დარღვეული სტრუქტურის აღდგენა.

მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად გამოიყენება რამდენიმე კრიტერიუმი. წარმატებული მკურნალობის შკალა [1,2], ასე გამოიყურება:

**** პაროდონტის კომპლექსის მთლიანი აღდგენა,

*** ჯიბეების ამოვსება, გაქრობა,

** კბილ-ღრმილოვანი შეერთების რღვევის შეჩერება,

*ანთებადი პროცესის შემცირება ან ელიმინაცია.

იმისათვის, რომ პაროდონტის მკურნალობაში მიღწეული იყოს სასურველი შედეგი საჭიროა პათოლოგიურ ზონაში პრეპარატების იმ კონცენტრაციის შეღწევა, რომელიც უზრუნველყოფს პირის ღრუს ბიოცენოზის რეგულირებას და პაროდონტის ქსოვილთა რეგენერაციული პროცესების სტიმულირებას [1].

პაროდონტის სამკურნალო საშუალებების სპექტრი ძალიან ფართოა, რისთვისაც აქტიურად გამოიყენება:

1. ანტიბიოტიკები,
2. ბაქტერიოფაგები,
3. ანტიფუნგური პრეპარატები,
4. პროტეოლიტური ფერმენტები,
5. სტეროიდული და არასტეროიდული პრეპარატები,
6. დამატებითი დამხმარე საშუალებები - ვიტამინები, ფიტოსაშუალებები,
7. იმუნომასტიმულირებელი თერაპია,
8. ვექტორ სისტემით მკურნალობა, ე.წ. „ერთმომენტიანი“ მკურნალობა,
9. ლაზეროთერაპია, ელექტროფორეზი, ფოტოთერაპია, ულტრაფონოფორეზი, დარსონ-ვალიზაცია, დიათერმია, უმსდ-თერაპია და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი სამკურნალო საშუალებების მრავალფეროვნების მიუხედავად დაავადება კვლავ რჩება ერთ-ერთ ურთულეს და ფართოდ გავრცელებულ პათოლოგიად მთელ მსოფლიოში. სწორედ ამიტომ კვლავ მიმდინარეობს ახალი სამკურნალო საშუალებების ძიება, რომელთა მოქმედების ეფექტი იქნება მეტად დამაჯერებელი.

პაროდონტიტის მკურნალობა კომპლექსური და მაქსიმალურად ინდივიდუურია, რაც მოიცავს მკურნალობის თერაპიულ, ქირურგიულ, ორთოპედიულ, ორთოდონტულ და ფიზიკურ მეთოდებს. მათ შორის გადამწყვეტი როლი ენიჭება თერაპიულ - კონსერვატულ ფაზას, რაც პაროდონტიტის მკურნალობის „ოქროს“ სტანდარტად არის მიჩნეული [1,2,52,107,111,139].

ამ ეტაპის ფარგლებში აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს:

- პირის ღრუს ოპტიმალური პროფესიული ჰიგიენა [10,18,91,138],
- შემდგომში პაროდონტული ჯიბეების ირიგაციით და კბილის ფესვის ზედაპირის პოლირებით, რაც წარმატებით მიიღწევა ვექტორ სისტემით. მისი მთავარი უპირატესობა კავიტაციის ამპლიტუდის რეგულაციის შესაძლებლობაა, სამუშაო ინსტრუმენტის „მოწესრიგებული“ რხევები ვერტიკალურად, ფესვის გასწვრივ გადაეცემა - იგი მოძრაობს კონკრეტულად სამუშაო ზედაპირის გასწვრივ.

ვექტორ სისტემის, ჰიდროქსიაპატიტის და კალციუმის ფოსფატის შემცველი სუსპენზიის ნაკადის დახმარებით, ფესვის ზედაპირიდან სრულად ხდება ბიოაპკის მოცილება და კბილის ზედაპირის გასადავება, ასევე, თავისთავად, ჰიდროქსიაპატიტი ხელს უწყობს ღრძილის სწრაფად აღდგენას პროცედურის შემდეგ, თუ გავითვალისწინებთ მის ტუტე pH-საც. ყოველივე ეს, პროცედურის უმტკივნეულოდ ჩატარების საშუალებას იძლევა, მომატებული მგრძნობელობის მქონე პაციენტებშიც კი. იგი პირდაპირ გავლენას ახდენს პაროდონტულ ჯიბეზე.

ვექტორ სისტემით შესრულებული ერთმომენტური კიურეტაჟი გაცილებით უფრო წარმატებულ შედეგებს გვაძლევს, ვიდრე ჯიბეების ტრადიციული მექანიკური დამუშავება [22,49,55,70,153],

- ასევე, საკმაოდ აქტუალურია დიოდური ლაზერის გამოყენება პაროდონტის დაავადებათა კომპლექსურ მკურნალობაში, (ტალღის სიგრძე 940 ნმ) [8,9,33,96,99,104,105,106,151].

1. აუმჯობესებს სისხლისა და ლიმფის მიმოქცევის უნარს,
2. ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს,
3. აუმჯობესებს ქსოვილების ტროფიკას და ადგილობრივ იმუნიტეტს,
4. ამცირებს ანთებით და შეგუბებით პროცესებს,
5. ახდენს ჟანგვა-აღდგენითი პროცესების სტიმულაციას,
6. მისი ბაქტერიოციდული ეფექტის გამო ღრძილოვან ჯიბეში ხდება ბაქტერიების რიცხვის და ნაწილობრივ სახეობრივი შემცირება.

საჭიროების შემთხვევაში, თერაპიული მკურნალობის შემდეგ ქირურგიული მაკორეგირებელი ოპერაციები ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია პაროდონტიტის კომპლექსურ მკურნალობაში, იმ პაციენტებთან, რომელთაც H.M.Goldman et all-ის კლასიფიკაციის მიხედვით აღენიშნებათ ორკედლიანი და სამკედლიანი ჯიბეები [138,146].

უნდა აღინიშნოს, რომ პაროდონტის დაავადებების მკურნალობა, გარდა ზემოაღწერილისა, ასევე გულისხმობს:

- ღრძილის კონტურების აღდგენას,
- პაროდონტის ფუნქციის და გარეგნული შეხედულების გამოსწორებას (გინგივოპლასტიკა, ნაფლეთოვანი ოპერაცია),
- პაროდონტის მორფოლოგიის და ესთეტიკის გამოსწორებას,
- მორყეული კბილების იმობილიზაციას არტაშნებით,
- დაკარგული კბილების და ძვლოვანი დეფექტების აღდგენას.

პაროდონტიტის პრევენცია, ადვილად დიაგნოსტირება, წარმატებით მკურნალობა და კონტროლირება შესაძლებელია შესაბამისი სამედიცინო

დახმარებისა და გრძელვადიანი მეორადი პროფილაქტიკის შესაბამისად. ამჟამად, პროფესიული ზრუნვის სხვადასხვა კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ბარიერები ხელს უშლის საზოგადოებას სწორი პრევენციული მიდგომების გამოყენებაში (ადრეული დიაგნოზის მიღება და მკურნალობის მოთხოვნა), რის შედეგადაც პაროდონტის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში შეზღუდულია პროგრესი (Jin et al., 2011) [69,113]. გლობალური მოქმედების ეს მოწოდება მიზნად ისახავს პაროდონტული ჯანმრთელობისა და ზოგადი ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესაძლებლობებზე ყურადღების მიქცევას [123,124].

2017 წელს ევროპის პაროდონტოლოგიური ფედერაციის ეგიდით (EFP) მსოფლიო სიმპოზიუმზე მიღებული „პაროდონტის და პერი-იმპლანტის დაავადებების და მდგომარეობების კლასიფიკაციის“ საფუძველზე შექმნილი გაიდლაინის თანახმად: [2,11,17,25,81,125]

* პაროდონტი ჯანმრთელია, როდესაც: არ აღინიშნება ანთება (BOP უარყოფითია და <10%-ზე), არ აღინიშნება კლინიკური მიმაგრების და ძვლის დანაკარგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

* გინგივიტის დროს აღინიშნება ღრძილის ანთება, BOP \geq 10%, არ აღინიშნება კლინიკური მიმაგრების დანაკარგი. გინგივიტი ლოკალურია 10-30% სისხლმდენი უბნით, გენერალიზებულია, როდესაც სისხლდენა >30%-ზე.

* პაროდონტიტის დროს აღინიშნება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის დანაკარგი, დიაგნოსტირდება რადიოგრაფიულად ძვლის დაკარგვით ან ზონდირებისას ინტერპროქსიმალური კლინიკური მიმაგრების დანაკარგით. ასევე:

1. პაროდონტული ჯიბე > 4 BOP-თან ერთად,
2. პაროდონტული ჯიბე \geq 6მმ,
3. კბილების დაკარგვა (პაროდონტიტის მიზეზით) და კბილების ფურკაციის დაზიანება.

* პაროდონტიტი თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალური შემთხვევაა, აქვს სტადია (I,II,III,IV) და დონე (A,B,C).

სტადია განპირობებულია დაავადების სიმძიმით მომართვის დროს და საბოლოოდ განსაზღვრავს დაავადების გავრცელებას.

დონე მოიცავს დაავადების ბიოლოგიური მახასიათებლის შესახებ დამატებით ინფორმაციას, იძლევა საშუალებას გაკეთდეს პაციენტის ანამნეზის დაფუძნებული დაავადების ანალიზი და შეფასდეს დაავადების პროგრესი. დონე გვამლევს საშუალებას შეფასდეს ჩატარებული მკურნალობის გამოსავალი, გვამლევს ინფორმაციას შესაძლო მომავალ პროგრესზე, და ასევე გვამლევს საშუალებას შეფასდეს იმის რისკი, რომ დაავადება შესაძლოა უარყოფითად აისახოს ადამიანის ზოგად ჯანმრთელობაზე [2,52,124].

სტადია უნდა იყოს, როგორც საბაზისო კრიტერიუმი პაციენტის მკურნალობის გეგმის შედგენისას, ხოლო დონე- ინდივიდუური მოვლისა და დისპანსერიზაციის კრიტერიუმი, რადგანაც ის გვამლევს დამატებით ინფორმაციას პაციენტის რისკ-ფაქტორებისა და დაავადების პროგრესირების თაობაზე[2,52].

პაროდონტული თერაპიის დასრულების შემდეგ პაციენტი სტაბილური პაროდონტიტით გადადის “ღრძილის ჯანმრთელობის” ჯგუფში, განლუული პაროდონტიტით ($BOP < 10\%$, $PPD \leq 4$ მმ). ხოლო, თუკი მკურნალობის შემდეგ, ისევ გვაქვს ეს ორი კრიტერიუმი, იმ განსხვავებით, რომ სახეზეა $BOP > 10\%$, ამ შემთხვევაში პაციენტი დიაგნოსტირდება, როგორც სტაბილური პაროდონტიტით, ღრძილის ანთებით. შემთხვევები, როდესაც არ აღინიშნება 4 მმ-ის და მეტი სიღრმის პაროდონტული ჯიბე, ასევე სისხლდენა ($PPD > 4$ და $BOP > 10\%$), მიიჩნევა როგორც არასტაბილური შემთხვევა და საჭიროებს შემდგომ მკურნალობას. უნდა აღინიშნოს, რომ პაციენტები წარმატებული მკურნალობით და სტაბილური პაროდონტიტით, იმყოფებიან მაღალ რისკ ჯგუფში, რომ განუვითარდეთ რეციდიული პაროდონტიტი. ამიტომ, აუცილებელია ასეთ პაციენტებთან ინფექციის კონტროლი, რეციდივის თავიდან ასაცილებლად.

EFP მიერ შემოთავაზებული ალგორითმი პაროდონტიტის სადიაგნოსტიკოდ მოიცავს 4 საფეხურს [2,52,124] :

1. პაციენტის იდენტიფიკაცია სავარაუდო პაროდონტიტით,
2. დიაგნოზის დაზუსტება,

3. პაროდონტიტის სტადიის განსაზღვრა,

4. პაროდონტიტის დონის განსაზღვრა.

პაროდონტიტით დაავადებული პაციენტის მკურნალობა უნდა მოხდეს თანმიმდევრული ეტაპებით სტადიის გათვალისწინებით, თითოეულ შემთხვევას შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი გამოკვლევები.

მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელია პაციენტის ინფორმირება დიაგნოზის შესახებ, გამომწვევი მიზეზების ახსნა, მკურნალობის მეთოდზე და მოსალოდნელ გამოსავალსა თუ რისკებზე საუბარი [2,52]. ამ განხილვას, მკურნალობის გეგმაში უნდა ახლდეს პაციენტისაგან დაფიქსირებული თანხმობა.

1. მკურნალობის პირველი საფეხური მიზნად ისახავს პაციენტის მოტივაციის შედეგად მისი უნარ-ჩვევებისა და ცხოვრების წესის შეცვლას. კერძოდ, რისკ-ფაქტორების კონტროლს და სუპრაგინგივური ნადების წარმატებით მოცილებას [2,62,113,118,136, 148,149]:

- სუპრაგინგივური ბიოაპკის კონტროლი,
- სხვადასხვა ღონისძიებები პაციენტის მოტივაციისა და პირის ღრუს ჰიგიენის ეფექტური კონტროლისათვის, პირის ღრუს ჰიგიენის ინსტრუქტაჟი,
- დამატებითი თერაპია ღრძილის ანთების საწინააღმდეგოდ,
- პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენა, რომელიც გულისხმობს სუპრაგინგივური და სუბგინგივური ნადების მექანიკურ მოცილებას და ასევე შეძლებისდაგვარად ნადებისათვის რეტენციული ფაქტორების მოხსნას,
- რისკ ფაქტორების კონტროლი (მწველობა, მეტაბოლიზმის კონტროლი დიაბეტთან პაციენტში, ფიზიკური ვარჯიში, წონის კლება).

პირველი ეტაპი უნდა გატარდეს პაროდონტიტის დიაგნოზის მქონე ყველა პაციენტთან, სტადიის მიუხედავად და უნდა გადაიხედოს ხშირად :

- პაციენტის მოტივირებისთვის ან სხვა ალტერნატივის და ბარიერის განსახილველად,
- ნადების კონტროლისათვის სწორი უნარების გამომუშავებისთვის,

- მკურნალობის შემდეგი საფეხურებიდან მოსალოდნელი პასუხის (შედეგის) მისაღებად.

2. მკურნალობის მეორე საფეხური (მიზეზთან დაკავშირებული თერაპია) მიზნად ისახავს სუბინგივური ბიოაპკის და კალკულოზის კონტროლს (შემცირება/მოცილება)[2]. დამატებით შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ ჩარევებს [2,121,128] :

- ფიზიკური ან ქიმიური აგენტების გამოყენებას,
- მასპინძელი მამოდულირებელი აგენტების გამოყენებას (ლოკალური ან სისტემური),
- ლოკალური ანტიმიკრობული პრეპარატების გამოყენებას,
- სისტემური ანტიბიოტიკების გამოყენებას.

მეორე საფეხური უნდა გატარდეს პაროდონტიტით დაავადებულ ყველა პაციენტთან, სტადიის მიუხედავად, მხოლოდ იმ კბილებთან, სადაც აღინიშნება პაროდონტული ჯიბის ჩამოყალიბება ან დაწყებულია პაროდონტის რღვევა. კონკრეტულ სიტუაციებში, მაგალითად, როდესაც სახეზეა პაროდონტული ღრმა ჯიბეები მკურნალობის პირველი და მეორე საფეხური უნდა ჩატარდეს ერთდროულად (მაგალითად იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ პაროდონტული აბსცესის ჩამოყალიბება).

მკურნალობის მეორე საფეხურის შედეგი უნდა შეფასდეს მხოლოდ პაროდონტის ქსოვილების განკურნების შემდეგ. თუ ამ საფეხურის შემდეგ სახეზე გვაქვს პაროდონტული ჯიბე >4 თანმხლები სისხლდენით ან ღრმა პაროდონტული ჯიბე ≥ 6 მმ, გარდაუვალი ხდება მესამე საფეხურის ჩართვა მკურნალობაში, ხოლო თუ მკურნალობა იყო წარმატებული, პაციენტი გადადის შემანარჩუნებელ პროგრამაზე [2,52,125].

აღსანიშნავია, რომ

- სუბინგივური ინსტრუმენტული (ხელის, მექანიკური) დამუშავება რეკომენდებულია, როგორც კვადრანტების ასევე ერთმომენტიანი (ერთსეანსიანი ან 2 ეტაპიანი, რომელიც სრულდება 24 სთ-ში) პროტოკოლების მიხედვით.

- დამატებითი ფიზიკური აგენტების (ლაზერო ან ფოტოდინამიური თერაპია) გამოყენებით არ მიიღება დამატებითი სარგებელი,
- დამატებითი ქიმიური აგენტების (ანტისეპტიკების) გამოყენება სუბგინგივური ინსტრუმენტული დამუშავების დროს (განსაკუთრებით ქლორჰექსიდინის) შესაძლებელია იყოს ნებადართული მხოლოდ ლიმიტირებული პერიოდით და კონკრეტულ შემთხვევებში.
- მასპინძელი მამოდელოირებელი აგენტების გამოყენებით (ლოკალური ან სისტემური) არ მიიღება კლინიკურად ღირებული ეფექტი (საჭიროებს დამატებით კვლევას),
- ლოკალური ანტიმიკრობული პრეპარატები შესაძლოა (ნებადართული) გამოყენებული იყოს სუპრაგინგივალური ინსტრუმენტული დამუშავების დროს,
- სისტემური ანტიბიოტიკების გამოყენება რეკომენდებულია კონკრეტული კატეგორიის პაციენტებთან (გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია III ახალგაზრდა პაციენტებში).

3. მკურნალობის მესამე საფეხურის მიზანია პირის ღრუს იმ უბნების მკურნალობა, სადაც მკურნალობის მეორე ეტაპის შემდეგ არ დადგა ადეკვატური შედეგი (პაროდონტული ჯიბე >4 თანმხლები სისხლდენით ან ღრმა პაროდონტული ჯიბე ≥ 6 მმ) [2,52,128]. ეს ეტაპი მოიცავს შემდეგ ჩარევებს:

- განმეორებით სუბგინგივურ ინსტრუმენტულ დამუშავებას დამატებითი აგენტებით ან მის გარეშე,
- ნაფლეთოვან პერიო ქირურგიას,
- რეზექციულ პერიო ქირურგიას,
- რეგენერაციულ პერიო ქირურგიას.

მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება იდეალური მკურნალობის ეფექტი, პაციენტი უნდა გადავიდეს შემანარჩუნებელ თერაპიაზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მესამე ეტაპის მკურნალობის ეფექტი ხშირად არ მიიღწევა ყველა კბილის მიდამოში, როდესაც სახეზეა პაროდონტიტი სტადია III.

4. შემანარჩუნებელი თერაპიის მიზანია სტაბილური პაროდონტიტის შენარჩუნება. მოიცავს 1 და მე-2 საფეხურების კონკრეტული პუნქტების კომბინაციას და დამოკიდებულია პაციენტის პაროდონტოლოგიურ სტატუსზე. ამ საფეხურზე პაციენტის ვიზიტებს შორის უნდა იყოს რეგულარული ინდივიდუალური ინტერვალები, გამომდინარე პაციენტის საჭიროებიდან. შემანარჩუნებელი თერაპიის უმნიშვნელოვანესი პუნქტია პაციენტის ჯანმრთელი ცხოვრების სტილის შენარჩუნება [2,128].

მკურნალობის ნებისმიერ საფეხურზე შესაძლოა გახდეს საჭირო, კონკრეტულად იმ კბილის ექსტრაქცია, რომელსაც უიმედო პროგნოზი აქვს.

პაროდონტიტის მკურნალობის გამოსავალი

პაროდონტიტის სტანდარტული მკურნალობა მოიცავს პაციენტის პირის ღრუს ჰიგიენის ინსტრუქტაჟს, ბიოაპკისა და ნადების მოცილებას, დამატებითი ანტიმიკრობული აგენტების გამოყენებით ან მის გარეშე, ქირურგიული მკურნალობით ან მის გარეშე. მკურნალობის შედეგად ვიღებთ პაციენტის გაუმჯობესებულ სიცოცხლის ხარისხს, დისკომფორტის მოხსნას ღეჭვისას, უკეთეს ესთეტიკას, კბილების მორყევისა და ზოგად ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის შემცირებას. ჯანმრთელი და კარგად ფუნქციონირებადი პირის ღრუ განაპირობებს ჯანმრთელ ორგანიზმს.

ითვლება, რომ ტკივილის არ არსებობა, მისაღები ესთეტიკა, კმაყოფილი პაციენტი, წარმოადგენს მკურნალობის მნიშვნელოვან წარმატებულ გამოსავალს. სასურველია მკურნალობამდე ექიმმა მიზნად დაისახოს მოსალოდნელი კონკრეტული შედეგი. თუმცა მთავარ მიზანს წარმოადგენს ზონდირებისას სისხლდენის დაბალი მაჩვენებელი და ვიწრო და მცირე ზომის პაროდონტული ჯიბეები.

ზემოაღნიშნული ლიტერატურიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია გამოვავლინოთ ყველა ის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ბაქტერიული ნადების დაგროვებას. ინტერესს იწვევს პაროდონტის კომპლექსის ანთებითი

დაავადებების კონსერვატიული მკურნალობის სხვადასხვა მეთოდის ეფექტურობის შესწავლა და შეფასება. თერაპიის გრძელვადიანი წარმატების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ბაქტერიების მიზნობრივი აღმოფხვრა. პაროდონტულ ჯიბეში პაროდონტო-პათოგენური მარკერების იდენტიფიცირება მკურნალობამდე და მის შემდეგ, მათი სახეობრივი, რაოდენობრივი და თვისობრივი შემადგენლობის განსაზღვრა.

გამოკვლევის შედეგების საფუძველზე, შესაძლებელია პაციენტებისთვის ოპტიმალური ინდივიდუური თერაპიის სქემის შემუშავება, რომელიც, როგორც წესი, თერაპიის მექანიკური ფორმების და საჭიროების შემთხვევაში ზოგადი მკურნალობის კომბინაციას წარმოადგენს. რაც რეციდივების სიხშირის შემცირების საშუალებას იძლევა.

თავი 2. კლინიკური კვლევის ობიექტი, მასალა და მეთოდები

2.1. კლინიკური კვლევის ობიექტი

კლინიკურ კვლევაში ჩართული იყვნენ პაციენტები, რომლებიც პაროდონტის ანთებითი დაავადებების მკურნალობის მიზნით მიმართავდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებათა დეპარტამენტს და სტომატოლოგიის კლინიკა და სასაწავლო-კვლევით ცენტრ უნიდენტს.


პაციენტთა მომართვის უხშირეს მიზეზს წარმოადგენდა ღრძილის შესახედაობა, ღრძილებიდან სისხლდენა, ექსუდატი, არასასიამოვნო სუნი პრის ღრუდან, კბილების მორყევა.

2.2. კლინიკური კვლევის მასალა და მეთოდები

დასახული მიზნის გადასაჭრელად ჩვენს მიერ კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევა და მკურნალობა ჩატარდა 20-დან 60 წლამდე ასაკის 35 პაციენტს. მათ შორის იყო 25 ქალი და 10 მამაკაცი, პაროდონტიტის სხვადასხვა სტადიის და დონის დიაგნოზით. მათგან პაროდონტიტის სტადია I A დონე აღენიშნებოდა 7 პაციენტს, სტადია I B დონე აღენიშნებოდა 4 პაციენტს, სტადია II A დონე აღენიშნებოდა 3 პაციენტს, სტადია II B დონე 13 პაციენტს, სტადია III B დონე აღენიშნებოდა 7 პაციენტს, სტადია III C დონე აღენიშნებოდა 1 პაციენტს.

(იხ. დიაგრამა N 2, ცხრილი N 5)

დიაგრამა N 2. პაროდონტიტის სხვადასხვა სტადიის და დონის შეხვედრის სიხშირე სქესის მიხედვით.



ცხრილი N 5. პაროდონტიტის სხვადასხვა სტადიის და დონის შეხვედრის სიხშირე სქესისა და ასაკის მიხედვით.

რაოდ.ასაკი,სქესი დაავ. ფორმა	რაოდენობა	სქესი		ასაკი			
		ქალი	მამაკაცი	20-30	31-40	41-50	51-60
სტადია I A დონე	7	7	0	4	3	0	0
სტადია I B დონე	4	2	2	3	1	0	0
სტადია II A დონე	3	1	2	2	1	0	0
სტადია II B დონე	13	9	4	3	4	4	2
სტადია III B დონე	7	5	2	1	1	3	2
სტადია III C დონე	1	1	0	1	0	0	0
სულ	35	25	10	14	10	7	4

პაროდონტის კომპლექსის ანთებითი დაავადებების დიაგნოსტიკა ემყარება კლინიკურ და ლაბორატორიულ მონაცემებს. აუცილებელია აბსოლუტური სიზუსტით შეიკრიბოს პაციენტის ცხოვრების და ავადმყოფობის ანამნეზი.

პაროდონტიტის მკურნალობა კომპლექსური და მაქსიმალურად ინდივიდუალურია, რომელიც მოიცავს მკურნალობის თერაპიულ, ქირურგიულ,

ორთოპედიულ, ორთოდონტიულ და ფიზიკურ მეთოდებს. მათ შორის გადამწყვეტი როლი ენიჭება თერაპიულ - კონსერვატიულ ფაზას.

ყველა პაციენტს უტარდებოდა გამოკვლევა წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით. ვახდენდით პაროდონტის კომპლექსის ვიზუალურ შეფასებას, ყველა კბილის ყველა ზედაპირის გამოკვლევას და მონაცემების დარეგისტრირებას პაროდონტულ რუკაზე (იხ. ცხრილი 6). გამოკვლევასას ხდებოდა შემდეგი მონაცემების ანალიზი:

- ზონდირებით პაროდონტული ჯიბის სიღრმე (PPD),
- ჰიგიენური ინდექსი (გამარტივებული ჰიგიენური ინდექსი-J.Green, J.Vermilion),
- სისხლდენა ზონდირებისას (BOP),
- პაროდონტის კომპლექსის სტატუსი (A.L.Russel),
- ფურკაციის დაზიანების ხარისხი (H.M.Wolf et al.),
- კბილების მობილობა,
- ღრძილის რეცესია (Cairo et al).

ცხრილი N6. პაციენტის პაროდონტული რუკა

	ს.ი	ნ.ი	ექ.	მ.ზ	დ.ზ	ვ.ზ	ო.ზ	ფ.დ.	კ.მ	ღ.რ	პ.ი
18											
17											
16											
15											
14											
13											
12											
11											
21											
22											
23											
24											
25											
26											
27											
28											
38											
37											
36											
35											
34											
33											
32											
31											
41											
42											
43											
44											
45											
46											
47											
48											
	%	%	%								

ს.ი.- სისხლდენის ინდექსი (წითელი), ნ.ი.- ნადების ინდექსი (სტაფილოსფერი), ექ.- ექსუდატი ღრმელებიდან (ყვითელი), მ.ზ.- მედიალური ზედაპირი, დ.ზ.- დისტალური ზედაპირი, ვ.ზ.- ვესტიბულური ზედაპირი, ო.ზ.- ორალური ზედაპირი, ფ.დ.- ფურკაციის დაზიანება, კ.მ.- კბილის მორყევა, ღ.რ.- ღრმის რეცესია, პ.ი.- პაროდონტული ინდექსი.

პაციენტის ანამნეზის შეკრების, სახისა და პირის ღრუს დათვალიერების, კლინიკური ინდექსების განსაზღვრის და პაროდონტული რუკის შევსების, ორთოპანტომოგრაფიული და მიკრობიოლოგიური კვლევის შემდეგ ისმებოდა დიაგნოზი.

საჭიროების შემთხვევაში მივმართავდით ექიმი თერაპევტის, ენდოკრინოლოგის კონსულტაციას, სისხლის საერთო და ბიოქიმიური ანალიზის

მონაცემებს, სადაც განისაზღვრება C რეაქტიული ცილა, ორგანიზმში მიმდინარე ანთებითი პროცესების მიმდინარეობის სადიაგნოსტიკოდ.

მკურნალობა ტარდებოდა დადგენილი პროტოკოლით: პაროდონტის კომპლექსის დაავადებების პროფილაქტიკა და მართვა - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი 2017.10.03 №02 , 2019.24.05. №01-182/ო, 2021.01.04 №01).

პაროდონტის კომპლექსის ანთებითი დაავადების თერაპიულ - კონსერვატიულ ფაზის ფარგლებში აუცილებელია უზრუნველყოთ: პირის ღრუს ოპტიმალური პროფესიული ჰიგიენა, შემდგომში პაროდონტული ჯიბეების ირიგაციით და კბილის ფესვის ზედაპირის პოლირება და ანტიმიკრობული დამუშავება. რისთვისაც წარმატებით გამოიყენება ვექტორ სისტემა და დიოდური ლაზერი.

ვექტორ სისტემის უპირატესობას წარმოადგენს კავიტაციის ამპლიტუდის რეგულაციის შესაძლებლობა, სპეციალური ჰიდროქსილაპატიტის სუსპენზია და სამუშაო თავების ფართო არჩევანი. იგი პირდაპირ ზემოქმედებს პაროდონტულ ჯიბეზე, ვექტორ სისტემით შესრულებული ერთმომენტური კიურეტაჟი გაცილებით უფრო წარმატებულ შედეგებს გვაძლევს, ვიდრე ჯიბეების ტრადიციული მექანიკური დამუშავება.

ასევე, საკმაოდ აქტუალურია დიოდური ლაზერის გამოყენება პაროდონტის დაავადებათა კომპლექსურ მკურნალობაში (ტალღის სიგრძე 940 ნმ), იგი: აუმჯობესებს სისხლისა და ლიმფის მიმოქცევის უნარს, ქსოვილების ტროფიკას და ადგილობრივ იმუნიტეტს, ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს, ახდენს ჟანგვა-აღდგენითი პროცესების სტიმულაციას, მისი ბაქტერიოციდული ეფექტის გამო ღრძილოვან ჯიბეში ხდება ბაქტერიების რიცხვის და ნაწილობრივ სახეობრივი შემცირებაც.

ვინაიდან პაროდონტიტის ინფექციური ბუნება დაკავშირებულია ღრძილქვეშა მიკრობიოტის დისბაქტერიოზთან. მკურნალობის ეფექტურობა იზრდება, თერაპიის მექანიკური (ინსტრუმენტული) ფორმების და ინფექციის საწინააღმდეგო მედიკამენტური მკურნალობის შეუღლებით. ადეკვატური

ანტიბაქტერიული მკურნალობა უნდა ეყრდნობოდეს მიკრობიოლოგიური გამოკვლევის შედეგად ანტიბიოტიკებისადმი მიკრობის მგრძობელობას, პაროდონტიტის მკურნალობის დროს ანტიმიკრობული პრეპარატების გამოყენება შესაძლებელია, როგორც ლოკალურად ასევე სისტემურად. ადგილობრივი მკურნალობის ძირითად უპირატესობას სისტემურთან შედარებით წარმოადგენს გვერდითი ეფექტების მცირე რაოდენობა და გაუმჯობესებული ჩივილები, ასევე სამკურნალო პრეპარატებისადმი ბაქტერიული ტოლერანტობის განვითარების შემცირების შესაძლებლობა. თუმცა, სისტემური ანტიმიკრობული პრეპარატების უპირატესობა მდგომარეობს მათ უნარში მიაღწიონ ფესვის ყველა ზედაპირსა და პირის ღრუს სითხეში, გარდა ამისა, ასევე მათ აქვთ პოტენციალი, რომ მიაღწიონ პაროდონტიტის პათოგენებს, რომლებიც საბოლოოდ შეიჭრებიან ქსოვილებში. პაროდონტიტის სამკურნალოდ გამოყენებული სისტემური ანტიმიკრობული პრეპარატების სპექტრი საკმაოდ ფართოა და მათი ეფექტურობა მნიშვნელოვნად განსხვავდება გამოყენებული აგენტის და პროტოკოლის მიხედვით.

უახლესი კვლევების და სისტემატური მიმოხილვების ფარგლებში დადგინდა ანტიმიკრობული საშუალებების დანამატებად გამოყენების უპირატესობა (განსაკუთრებით MET+AMOX) რაც იწვევს სტატისტიკურად მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, როგორც კლინიკური ასევე მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების.

ანტიბიოტიკოთერაპიის მიზანია:

- შეჩერდეს პაროდონტიტის ქსოვილთა პროგრესირებადი დესტრუქცია,
- მოხდეს პაროდონტოპათოგენური მიკროფლორის რედუქცია,
- შენარჩუნდეს პირის ღრუს ფიზიოლოგიური მიკროფლორა.

მკურნალობის მეთოდებიდან გამომდინარე, გამოსაკვლევი პაციენტები დაიყო სამ ჯგუფად და პაროდონტული მარკერების განსაზღვრის შემდეგ:

I ჯგუფში მკურნალობა ჩატარდა ვექტორ სისტემით,

II ჯგუფში მკურნალობა ჩატარდა დიოდური ლაზერით,

III ჯგუფში მკურნალობა ჩატარდა კომბინირებულად ვექტორ სისტემით და დიოდური ლაზერით.

2.3. მიკრობიოლოგიური კვლევის მასალა და მეთოდები

ყველა პაციენტს ჩაუტარდა მიკრობიოლოგიური გამოკვლევა* მკურნალობამდე და მკურნალობის დასრულებიდან ორი კვირის შემდეგ.

მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკის ოქროს სტანდარტს წარმოადგენს ბაქტერიების კულტივაცია. პაროდონტოპათოგენური ბაქტერიების კვლევა* გადაწყვიტეთ ISO-სერტიფიცირებული მოლეკულურ ბიოლოგიური მეთოდით, პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციით (PCR), Micro-Ident ანალიზით, რომლის დიაგნოსტიკური ღირებულება საუნივერსიტეტო კლინიკებში ჩატარებული მრავალი კვლევითაა დადასტურებული. სინჯი გამოირჩევა გამოსაკვლევი მასალის აღებისა და ტრანსპორტირების სიმარტივით. აგრეთვე, მაღალი სადიაგნოსტიკო მგრძობელობითა და სპეციფიკურობით. რის გამოც პაროდონტის კომპლექსის ანთებითი დაავადებების სრულფასოვანი შეფასებისათვის ხშირად სწორედ ეს მეთოდი გამოიყენება.

Micro-Ident მოლეკულურ გენეტიკური კომბინირებული ანალიზია რომელიც დაფუძნებულია DNA-Strip ტექნოლოგიაზე და პაროდონტოპათოგენური ხუთი ბაქტერიის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა, კერძოდ *Aggregatibacter actinomycetemcomitans*, *Porphyromonas gingivalis*, *Prevotella intermedia*, *Tannerella forsythia* და *Treponema denticola*.

პროცესი შედგება სამი ეტაპისგან:

1. დნმ-ის გამოთავისუფლება სუბინგივური სინჯებიდან (ქალაღდის ჩხირებიდან),
2. მულტიპლექსური ამპლიფიკაცია ბიოტილირებული პრაიმერებით,
3. უკუჰიბრიდიზაციით.

*მიკრობიოლოგიური კვლევა ჩაუტარდა სამედიცინო ცენტში "მრჩველი" ლიმბახის დიაგნოსტიკის ევროპული ჯგუფის წევრი.

ჰიბრიდიზაცია შემდეგ ეტაპებს მოიცავს: ამპლიფიკაციის პროდუქტების ქიმიური დენატურაცია, ბიოტინის ეტიკეტის ამპლიკონები მემბრანულშეკრული ზონდისკენ, მკაცრი რეცხვა, სტრეპტავიდინის/ტუტე ფოსფატაზის (AP) კონიუგატის დამატება და შეღებვა ტუტე ფოსფატაზის შუამავლობით. შაბლონი უზრუნველყოფს მიღებული სურათის მარტივ და სწრაფ ინტერპრეტაციას.

მასალის აღებას მიკრობიოლოგიური კვლევისთვის, პაროდონტო-პათოგენური მარკერების: *Aggregatibacter actinomycetemcomitans*, *Porphyromonas gingivalis*, *Prevotella intermedia*, *Tannerella forsythia*, *Treponema denticola* გამოსავლენად და ანტიბიოტიკების მიმართ მიკროფლორის მგრძობელობის დასადგენად ვაწარმოეთ ცალკეული კბილების პაროდონტული ჯიბეებიდან, სპეციალური, სტერილური ქაღალდის ჩხირების მოთავსებით 10 წამის განმავლობაში, რომელიც შემდეგ ტრანსპორტირებისთვის სპეციალურ სტერილურ რეზერვუარში თავსდება (სურათი N 1,2).



სურათი N 1. Micro-Ident plus სინჯის ანაწყობი



სურათი N 2. მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან.

2.4. სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები საკვლევ ჯგუფებში

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პაროდონტიტის მკურნალობის მეთოდების ეფექტურობის შეფასება სპეციფიკური კლინიკო-ლაბორატორიული მარკერებით. განხორციელდა მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, რამაც საშუალება მოგვცა

დაგვედგინა არის თუ არა სარწმუნო კავშირი ორ მონაცემს (მკურნალობამდე და მკურნალობის შედეგად მიღებულ სიდიდეებს) შორის და რა გავლენას ახდენს მკურნალობის აღნიშნული მეთოდი სხვადასხვა პაროდონტულ მარკერზე.

მკურნალობის მეთოდად გამოყენებულია ვექტორ სისტემით, დიოდური ლაზერით, ვექტორ სისტემით და დიოდური ლაზერით კომბინირებული თერაპია. გამოკვლეულია 35 პაციენტი (დიოდური ლაზერი-14, ვექტორ სისტემით-14, ვექტორ სისტემით და დიოდური ლაზერით-7). მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ შედარდა შემდეგი პაროდონტული მარკერების თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები :

1. *Aggregatibacter actinomycetemcomitans*;
2. *Porphyromonas gingivalis*;
3. *Prevotella intermedia*;
4. *Tannerella forsythia*;
5. *Treponema denticola*.

პარამეტრების შეფასებისათვის გამოყენებულია შკალა 0-3 ბიჯით 1. სტატისტიკური დამუშავებისას გამოყენებულ იქნა სპირმანის რანგული კორელაცია

$\alpha=0.05$ მნიშვნელოვნების დონით α (95%-იანი ალბათობა) და თავისუფლების ხარისხით $\nu=13$.

სარწმუნოება შემოწმდა ნულოვანი ჰიპოთეზის საშუალებით. სპირმანის კრიტერიუმის კრიტიკული მნიშვნელობა $\alpha=0.05$ მნიშვნელოვნების დონითა და $\nu=13$ თავისუფლების ხარისხისათვის არის 0.521.

დიოდური ლაზერით მკურნალობის შედეგად რანგული კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობები შემდეგია:

1. Porphyromonas gingivalis - $r_s=0.477$
2. Prevotella intermedia - $r_s=0.535$
3. Tannerella forsythia - $r_s=0.654$
4. Treponema denticola - $r_s=0.874$

სტატისტიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ სამი პარამეტრისათვის Prevotella intermedia, Tannerella forsythia, Treponema denticola $r_s>0.521$ ($p<0.05$), რაც იმას ნიშნავს, რომ კავშირი პარამეტრებს შორის მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ სტატისტიკურად სარწმუნოა, რაც არ დასტურდება Porphyromonas gingivalis-თვის.

ვექტორი სისტემით მკურნალობის შედეგად რანგული კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობები შემდეგია:

1. Porphyromonas gingivalis - $r_s=0.665$,
2. Prevotella intermedia - $r_s=0.565$
3. Tannerella forsythia - $r_s=0.515$,
4. Treponema denticola - $r_s=0.518$.

ამ შემთხვევაში კავშირი მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ სარწმუნო აღმოჩნდა შემდეგი პარამეტრებისათვის Porphyromonas gingivalis, Prevotella intermedia, Tannerella forsythia, Treponema denticola და დადგენილია მკურნალობის ეფექტურობა ($p<0.05$).

ვექტორი სისტემით და დიოდური ლაზერით მკურნალობის შედეგად რანგული კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობების შედეგების მიხედვით, კავშირი მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ სარწმუნო აღმოჩნდა პაროდონტოპათოგენური მარკერებისთვის Aggregatibacter actinomycetemcomitans, Porphyromonas gingivalis, Prevotella intermedia, Tannerella forsythia, Treponema denticola და დადგენილია მკურნალობის ეფექტურობა ($p<0.05$)

შედეგების სტატისტიკური დამუშავებისათვის გამოყენებულ იქნა სტატისტიკური პროგრამა SPSS 22, მიღებული შედეგები გათვალისწინებულია დასკვნებში.

თავი 3. საკუთარი კვლევის შედეგები

3.1. კლინიკური კვლევის შედეგები მკურნალობამდე

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს პაროდონტიტის მკურნალობის მეთოდების (ვექტორ სისტემა, დიოდური ლაზერი, ვექტორ სისტემა და დიოდური ლაზერის კომბინაცია) ეფექტურობის შეფასება, კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევების კომპლექსური სურათის მონაცემების საფუძველზე.

თანამედროვე ტენდენციებით, მედიცინის ნებისმიერ დარგში, კერძოდ სტომატოლოგიაში, დაავადების მკურნალობის პრიორიტეტს წარმოადგენს ქსოვილების დამზოგავი, კონსერვატული და მცირედ ინვაზიური მეთოდების გამოყენება ქირურგიულ ჩარევებთან შედარებით.

პაროდონტოლოგიური მკურნალობის ოპტიმალური მეთოდის შერჩევა შესაძლებელია ზედმიწევნით ჩატარებული პაციენტის კლინიკური კვლევის და სწორი დიაგნოზის დასმის შემდეგ. პირველი ვიზიტის დროს ხდება კლინიკური მდგომარეობის შეფასება, არა მხოლოდ კარიესისა და პაროდონტიტის კონსტატაცია არამედ პაროდონტიტის გავრცელების და სიმძიმის განსაზღვრაც.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ პაროდონტიტის სტადია I A დონე დიაგნოზის მქონე პაციენტები უჩიოდნენ კბილების ზედაპირებზე ნადების არსებობას, არასასიამოვნო სუნს პირის ღრუდან, სისხლდენას მექანიკური გამდიზიანების შედეგად.

კლინიკური გამოკვლევის დროს აღინიშნა ღრძილების ფერის ცვლილება, დვრილების და მარგინალური ღრძილის ჰიპერემია, კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 1-2 მმ-ით, პაროდონტული ჯიბის სიღრმე 4 მმ-მდე, BOP>30% მეტი, რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა. კლინიკური ინდექსის განსაზღვრისას აღინიშნა პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ პაროდონტიტის სტადია I B დონე დიაგნოზის მქონე პაციენტები უჩიოდნენ კბილების ზედაპირებზე ნადების არსებობას, არასასიამოვნო სუნს პირის ღრუდან, სისხლდენას მექანიკური გამლიზიანების შედეგად.

კლინიკური გამოკვლევის დროს აღინიშნა ღრძილების ფერის ცვლილება, დვრილების და მარგინალური ღრძილის ჰიპერემია, კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 1-2 მმ-ით, პაროდონტული ჯიბის სიღრმე 4 მმ-მდე, BOP>50% მეტი, რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა. კლინიკური ინდექსის განსაზღვრისას აღინიშნა პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ პაროდონტიტის სტადია II A დონე დიაგნოზის მქონე პაციენტები უჩიოდნენ კბილების ზედაპირებზე ნადების არსებობას, არასასიამოვნო სუნს პირის ღრუდან, სისხლდენას მექანიკური გამლიზიანების შედეგად.

კლინიკური გამოკვლევის დროს აღინიშნა ღრძილების ფერის ცვლილება, დვრილების და მარგინალური ღრძილის ჰიპერემია, კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 3-4 მმ-ით, პაროდონტული ჯიბის სიღრმე 5 მმ-მდე, BOP>30% მეტი, რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა. კლინიკური ინდექსის განსაზღვრისას აღინიშნა პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

პაროდონტიტის სტადია II B დონე დიაგნოზის მქონე პაციენტები უჩიოდნენ კბილების ზედაპირებზე ნადების არსებობას, არასასიამოვნო სუნს პირის ღრუდან, კბილების ფესვების გაშიშვლებას, ჰიპერესთეზიას, ღრძილებიდან სისხლდენას.

კლინიკური გამოკვლევის დროს აღინიშნა ღრძილების ფერის ცვლილება, დვრილების და მარგინალური ღრძილის ჰიპერემია, კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 3-4 მმ-ით, პაროდონტული ჯიბის სიღრმე 5 მმ-მდე, BOP>50% მეტი, რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა. კლინიკური ინდექსის განსაზღვრისას აღინიშნა პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა.

პაროდონტიტის სტადია III B დონე დიაგნოზის მქონე პაციენტები უჩიოდნენ არასასიამოვნო სუნს პირის ღრუდან, კბილების ზედაპირებზე ნადების არსებობას, კბილების ფესვების გაშიშვლებას, ღრძილების სისხლდენას, კბილების მორყევას და დაკარგვას.

კლინიკური გამოკვლევის დროს აღინიშნა ღრძილების ფერის ცვლილება კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 5 მმ-ით და მეტით, პაროდონტული ჯიბის სიღრმე >6 მმ-მდე, BOP>80% მეტი, ღრძილის დვრილის და მარგინალური ნაწილის შეშუპება. ინფილტრაციით და გრანულაციით გამოწვეული ღრძილის კონტურის დეფორმაცია. ძირითადად აღინიშნა: რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა, ცალკეულ შმთხვევებში ვერტიკალური დაზიანება ფურკაციის ჩართულობით, კბილების მორყევის I და II ხარისხი, კბილთა დაკარგვის გამო კბილთა მწკრივში დეფექტები, კლინიკური ინდექსის განსაზღვრისას პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა, მრავლობითი ღრძილქვეშა და ღრძილზედა ქვებისა და ნადების არსებობა.

პაროდონტიტის სტადია III C დონე დიაგნოზის მქონე პაციენტები უჩიოდნენ არასასიამოვნო სუნს პირის ღრუდან, ღრძილებიდან სისხლდენას მექანიკურ გამლიზინებელზე ან სპონტანური ხასიათის და ექსუდატის არსებობას, კბილების ზედაპირებზე ნადების არსებობას, ღრძილების შეშუპებას და ასევე ცალკეული კბილების მიდამოებში ფესვების გაშიშვლებას და მგრძნობელობის მომატებას, კბილების მორყევას და ცალკეულის დაკარგვას.

კლინიკური გამოკვლევის დროს აღინიშნა: ღრძილების ფერის და ფორმის ცვლილება, კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 5 მმ-ით და მეტით, პაროდონტული ჯიბის სიღრმე >6 მმ-მდე, BOP 100% , რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა, ვერტიკალური დაზიანებით და ფურკაციის ჩართულობით. კბილების მორყევის I და II ხარისხი, კბილთა დაკარგვის გამო კბილთა მწკრივში დეფექტები, დიასთემები და ტრემები. კლინიკური ინდექსის განსაზღვრისას აღინიშნა პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური

მდგომარეობა, მრავლობითი ღრძილქვეშა და ღრძილზედა ქვებისა და ნადების არსებობა.

3.2 პაციენტთა კლინიკური გამოკვლევა მკურნალობის შემდეგ

პაციენტთა მკურნალობისას, პაროდონტულ ჯიბეებში არსებული პაროდონტოპათოგენური მარკერების მოლეკულურ ბიოლოგიური კვლევის შემდეგ, თითოეული მათგანისთვის დგებოდა მკურნალობის კომპლექსური და მაქსიმალურად ინდივიდუალური გეგმა. პაციენტთა მკურნალობას ვიწყებდით ეტიოტროპული თერაპიით, რაც მოიცავდა :

1. ინდივიდუალური ჰიგიენის წესების შესწავლას (ჰიგიენის სწორი ტექნიკა, საჭირო სიხისტის ჯაგრისი, კბილის პასტა და სავლები. ფლოსების, ინტერდენტალური ჯაგრისების და დენტალური ირიგატორის მნიშვნელობა და გამოყენება),
2. ულტრაბგერის სისტემით კბილის ნადების მოცილებას,
3. პაროდონტულ ჯიბეთა ვექტორ სისტემით ან დიოდური ლაზერით თერაპიას,
4. ოკლუზიური ზედაპირების გასწორებას, კბილების შერჩევით მოქლიბვას,
5. ბჟენების გადმოკიდებული კიდეების კორექციას,
6. კბილთა მწკრივის და თანკბილვის ანომალიების ორთოდონტულ და/ან ორთოპედიულ მკურნალობას.

მკურნალობის შემდეგი ეტაპი იყო პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენა, რომელიც გულისხმობს სუპრაგინგივური და სუბგინგივური ნადების მექანიკურ მოცილებას, კბილების პოლირებას სპეციალური პასტების და ჯაგრისების გამოყენებით და ასევე შემლებისდაგვარად ნადებისთვის რეტენციული ფაქტორების მოხსნას.

ამის შემდეგ ვახორციელებდით პაროდონტულ ჯიბეთა ანტიმიკრობულ დამუშავებას. რაც გულისხმობს პაროდონტულ ჯიბეთა ირიგაციას და კბილის

ფესვის ზედაპირის პოლირებას, რისთვისაც წარმატებით გამოიყენება ვექტორ სისტემა და დიოდური ლაზერი.

პაციენტებს, ზემოაღნიშნულ კონსერვატულ მკურნალობასთან ერთდ საჭიროების მიხედვით ჩაუტარდათ მიზანმიმართული, კომპლექსური და ინდივიდუალური მკურნალობა ორთოდონტული, ორთოპედიული და ქირურგიული ჩარევების სახით.

მკურნალობის ჩატარების შემდეგ, ყველა პაციენტთან მთელი საკონტროლო დროის განმავლობაში, აღინიშნა კლინიკური სურათის სარწმუნო გაუმჯობესება: ღრძილი ღია ვარდისფერი, ანთებითი ნიშნების- ექსუდატის და სისხლდენის გარეშე, პაროდონტული ჯიბის სიღრმის მნიშვნელოვანი შემცირება.

განვიხილოთ, ჩვენს მიერ პაციენტთა მკურნალობის მეთოდებიდან გამომდინარე დაყოფილი ჯგუფების და დასახული სქემის მიხედვით ჩატარებული მკურნალობა და მათი შედეგები.

3.2.1. I ჯგუფი - მკურნალობა ვექტორ სისტემით

ვექტორ სისტემის გამოყენებისას ყველა პაციენტის ეტიოტროპული მკურნალობა მოიცავდა:

- ინდივიდუალური ჰიგიენის წესების შესწავლას,
- პირის ღრუს პროფესიულ ჰიგიენას ულტრაბგერის სისტემით,
- პაროდონტულ ჯიბეთა დამუშავებას ვექტორ სისტემით,
- საჭიროებისამებრ ორთოპედიულ, ორთოდონტულ და ქირურგიულ მკურნალობას.

მკურნალობის შემდეგ გამოვლინდა - კლინიკური სურათის სარწმუნო გაუმჯობესება: ღრძილი ღია ვარდისფერი, ანთებითი ნიშნების - სისხლდენის და ექსუდატის გარეშე. პაროდონტული ჯიბის სიღრმის შემცირება. რენტგენოლოგიური კვლევით ძვლოვანი ქსოვილი პროგრესირებადი

დესტრუქციის გარეშე. ლაბორატორიულად პაროდონტული მარკერების რაოდენობრივი და თვისობრივი ელიმინაცია.

1. პაციენტი ნ.მ. 47 წლის. ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია III B დონე (სურათი N 3.ა,ბ,გ,დ).

კლინიკური გამოკვლევის შედეგად პაციენტს აღენიშნა:

- კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 5-8 მმ-მდე,
- პაროდონტული ჯიბის სიღრმე >6 მმ-მდე,
- BOP - 100% ,
- ღრძილის დვრილის და მარგინალური ნაწილის შეშუპება,
- ინფილტრაციით და გრანულაციით გამოწვეული ღრძილის კონტურის დეფორმაცია,
- რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა, ცალკეულ უბნებში ვერტიკალური დაზიანება ფურკაციის ჩართულობით,
- კბილთა დაკარგვის გამო კბილთა მწკრივის დეფექტები,
- პირის ღრუს არადაძაბვით გამოწვეული ჰიგიენური მდგომარეობა.



ა.



ბ.



გ.



დ.

სურათი N 3 . მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან მკურნალობამდე (ა,ბ,გ) და პაციენტის ორთოპანტომოგრაფია (დ).

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობამდე:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg): +++

Prevotella intermedia (Pi): +++

Bacteroides forsythus (Bf): +++

Treponema denticola (Td): +++

პაციენტის პაროდონტული რუკა

	ს.ი	ნ.ი	ე.	მ.ზ	დ.ზ	ვ.ზ	ო.ზ	ფ.დ.	კ.მ.	ღ.რ.	პ.ი.
18	■			6	5	4	4		I		6
17	■	■		6	6	5	4		I		6
16	■	■		5	6	4	4	F1	I	1	8
15	■	■		7	7	4	4		I	1	8
14											
13	■	■	■	7	6	4	4			1	6
12	■	■	■	6	7	4	4				6
11											
21				5	4	4	4				6
22											
23											
24	■	■		5	5	3	4				6
25	■	■		4	4	4	4				6
26											
27											
28	■			5	5	4	4				6
38	■			5	4	4	4				6
37	■	■		6	5	5	5	F1	I		6
36											
35	■	■		5	5	3	3				6
34	■	■		4	4	3	3				6
33	■	■	■	4	4	3	3				6
32	■	■	■	4	4	3	3				6
31											
41											
42	■	■	■	4	5	3	3				2
43	■	■	■	5	4	3	3				6
44	■	■		4	4	3	3				6
45	■	■		5	5	3	3				6
46											
47	■	■		12	4	8	7	F2	II	2	8
48	■			4	4	4	4				4
	100%	77%									6

ამ შემთხვევაში პაციენტის წარმატებული ეტიოტროპული მკურნალობის და პაროდონტული მარკერების რაოდენობრივი და თვისობრივი სრული ელიმინაციის შემდეგ, ჩატარდა კბილთა მწკრივის აღდგენა ორთოპედიული კონსტრუქციით (სურათი N 4. ა,ბ).



ა.



ბ.

სურათი N 4. მკურნალობის შემდეგ (ა,ბ).

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობის შემდეგ:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg) : -

Prevotella intermedia (Pi) : -

Bacteroides forsythus (Bf) : +

Treponema denticola (Td) : -

2. პაციენტი ზ.ფ. 38 წლის ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია II B დონე (სურათი N 5. ა,ბ,გ).

კლინიკური გამოკვლევის შედეგად პაციენტს აღენიშნა:

- კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 5-8 მმ-მდე,
- პაროდონტული ჯიბის სიღრმე 6 - მმ-ზე მეტი,
- BOP - 100% ,
- ღრძილის დვრილის და მარგინალური ნაწილის შემუპება,
- ინფილტრაციით და გრანულაციით გამოწვეული ღრძილის კონტურის დეფორმაცია,
- რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა, ცალკეულ კბილებთან ვერტიკალური დაზიანებით და ფურკაციის ჩართულობით,
- პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა.



ა.



ბ.



ბ.

სურათი N 5. მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან მკურნალობამდე (ა,ბ)

და პაციენტის ორთოპანტომოგრაფია (გ).

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობამდე :

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : +

Porphyromonas gingivalis (Pg) : +++

Prevotella intermedia (Pi) : ++

Bacteroides forsythus (Bf): ++

Treponema denticola (Td) : -

პაციენტის პაროდონტული რუკა

	ს.ი	ნ.ი	ეე.	მ.ზ	დ.ზ	ვ.ზ	ო.ზ	ფ.დ.	კ.მ	ღ.რ	პ.ი
18	■	■		5	5	4	4				6
17	■	■		6	5	4	4			1	6
16	■	■		6	7	5	4		I	1	6
15	■	■	■	5	5	3	3		II		8
14	■	■		5	5	3	3				6
13	■	■	■	5	5	3	3				6
12	■	■		5	5	3	3		I		6
11	■	■		7	5	4	4		I		6
21	■	■		7	6	3	3		I		6
22	■	■	■	6	7	4	3		I		6
23	■	■		5	5	3	3				6
24	■	■	■	5	5	3	4				8
25	■	■	■	6	7	3	4		I	1	8
26	■	■		8	7	5	5	F1	II	1	8
27	■	■		7	5	4	4			1	8
28	■	■		4	5	3	3				6
38	■	■		5	5	3	3				6
37	■	■		8	8	5	5		I	1	8
36	■	■		8	9	4	5	F1	II	2	8
35	■	■		7	7	5	4		I		8
34	■	■		7	7	5	3				6
33	■	■	■	6	7	3	4		I		6
32	■	■		5	5	3	3			1	6
31	■	■	■	5	5	3	3			1	6
41	■	■	■	5	5	3	3			1	6
42	■	■		5	5	3	3			1	6
43	■	■		5	4	3	3				2
44	■	■		4	4	3	3				2
45	■	■		4	4	3	3				6
46	■	■		5	7	3	4		I	1	6
47	■	■		6	4	3	4				2
48	■	■		4	4	3	3				2
	100%	100%									6

მკურნალობის შემდეგ გამოვლინდა კლინიკური სურათის სარწმუნო გაუმჯობესება (სურათი N 6). ასევე, პაროდონტული მარკერების რაოდენობრივი და თვისობრივი სრული ელიმინაცია.



სურათი N 6. მკურნალობის შემდეგ

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობის შემდეგ:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg) : -

Prevotella intermedia (Pi) : -

Bacteroides forsythus (Bf) : -

Treponema denticola (Td) : -

3. პაციენტი 55 ხ.ბ. წლის, საშუალო სიმძიმის ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია II B დონე (სურათი N 7 ა,ბ,გ).

კლინიკური გამოკვლევის შედეგად პაციენტს აღენიშნა:

- კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 5-8 მმ-მდე,
- პაროდონტული ჯიბის სიღრმე 6- მმ-ზე მეტი, კბილი 2.7 მიდამოში 11 მმ.,
- BOP - 100% ,
- რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა, ცალკეულ კბილებთან ვერტიკალური დაზიანებით და ფურკაციის ჩართულობით,
- პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა.



ა



ბ.



ბ.

სურათი N 7. მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან მკურნალობამდე (ა,ბ)
და პაციენტის ორთოპანტომოგრაფია (გ).

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობამდე :

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg) : +++

Prevotella intermedia (Pi) : -

Bacteroides forsythus (Bf): +++

Treponema denticola (Td) : ++

პაციენტის პაროდონტული რუკა

	ს.ი	ნ.ი	ეე.	მ.ზ.	დ.ზ.	ვ.ზ.	ო.ზ.	ფ.დ.	კ.მ.	ღ.რ.	პ.ი.
18											
17	■	■		5	6	4	3			1	6
16	■	■		6	5	4	3				6
15											
14	■	■		6	6	6	3			1	6
13	■	■		4	4	3	3				2
12	■	■		4	4	3	3				2
11	■	■		4	4	3	3				2
21											
22											
23	■	■		4	4	3	3				6
24	■	■		5	5	3	3			1	6
25	■	■		5	6	3	3				6
26	■	■		6	8	4	3			1	6
27	■	■		8	11	5	4	F1		2	8
28											
38											
37	■	■		6	4	3	3			1	6
36											
35	■	■		5	5	3	3				6
34	■	■		5	5	3	3				6
33	■	■		4	5	3	3			1	6
32	■	■		4	4	3	3				2
31	■	■		5	4	3	3				6
41	■	■		5	4	3	3				2
42	■	■		4	4	3	3				2
43	■	■		4	4	3	3			1	2
44	■	■		4	4	3	3				6
45	■	■		4	4	3	3				6
46											
47	■	■		6	5	3	3			1	6
48				5	3	3	3				6
	100%	100%									4.8

მკურნალობის შემდეგ აღნიშნა კლინიკური სურათის სარწმუნო გაუმჯობესება (სურათი N 8) და პაროდონტული მარკერების სრული ელიმინაცია.



სურათი N 8. მკურნალობის შემდეგ

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობის შემდეგ:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg) : -

Prevotella intermedia (Pi) : -

Bacteroides forsythus (Bf): -

Treponema denticola (Td) : -

4. პაციენტი დ.დ. 30 წლის საშუალო სიმძიმის ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია II B დონე (სურათი N 9 ა,ბ,გ).

კლინიკური გამოკვლევის შედეგად პაციენტს აღნიშნა:

- კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 4-5 მმ,
- პაროდონტული ჯიბის სიღრმე 5- მმ-მდე,
- BOP - 50% ,
- რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა,
- პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა.



ა.



ბ.

სურათი N 9. მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან მკურნალობამდე (ა)
და პაციენტის ორთოპანტომოგრაფია (ბ).

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობამდე:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg): +++

Prevotella intermedia (Pi): +

Bacteroides forsythus (Bf): ++

Treponema denticola (Td): ++

პაციენტის პაროდონტული რუკა

	ს.ი	ნ.ი	ქ.	მ.ზ	დ.ზ	ვ.ზ	ო.ზ	ფ.დ.	კ.მ	ღ.რ	პ.ი
18											4
17				3	3	3	3				4
16				4	4	3	3				6
15				4	4	3	3				4
14				4	4	3	3				2
13				3	3	3	3				2
12				3	3	3	3				6
11				4	3	3	3				6
21				4	3	3	3				6
22				3	4	3	3				6
23				4	3	3	3				4
24				3	3	3	3				4
25				3	3	3	3				6
26				4	5	3	3				4
27				5	5	3	3				4
28											
38				5	3	3	3				
37				4	4	4	3				4
36				5	4	3	3				4
35				3	3	3	3				2
34				3	3	3	3				2
33				4	4	3	3				2
32				4	4	4	4				6
31				4	4	4	4		1		6
41				4	4	3	3		1		6
42				4	4	3	3				6
43				4	4	3	3				4
44				4	4	3	3				2
45				4	4	3	3				2
46				4	4	3	3				2
47				3	6	3	6				2
48											
	50%	100%									3.8

მკურნალობის შემდეგ გამოვლინდა კლინიკური სურათის სარწმუნო გაუმჯობესება (სურათი N 10). ასევე, პაროდონტული მარკერების რაოდენობრივი და თვისობრივი სრული ელიმინაცია.



სურათი N 10. მკურნალობის შემდეგ

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობის შემდეგ:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg) : -

Prevotella intermedia (Pi) : -

Bacteroides forsythus (Bf): -

Treponema denticola (Td) : +

5. პაციენტი თ.ხ. 44 წლის საშუალო სიმძიმის ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია II B დონე (სურათი N 11 ა,ბ,გ).

კლინიკური გამოკვლევის შედეგად პაციენტს აღენიშნა:


- კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 5-8 მმ-მდე,
- პაროდონტული ჯიბის სიღრმე 6- მმ-ზე მეტი, კბილი 3.6 მიდამოში 12 მმ.,
- BOP - 60% ,
- რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა, ცალკეულ კბილებთან ვერტიკალური დაზიანებით და ფურკაციის ჩართულობით,
- პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა.



ა.



ბ.



ბ.

სურათი N 11. მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან მკურნალობამდე (ა,ბ) და პაციენტის ორთოპანტომოგრამა (გ).

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობამდე:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg): +++

Prevotella intermedia (Pi): -

Bacteroides forsythus (Bf): ++

Treponema denticola (Td):+

პაციენტის პაროდონტული რუკა

	ს.ო	ნ.ო	ექ.	მ.ზ	დ.ზ	ვ.ზ	ო.ზ	ფ.დ.	კ.მ	დ.რ	პ.ო
18				4	6	3	3				6
17				5	5	3	3				6
16				5	6	3	4	F1		2	6
15				5	5	3	3				6
14				4	4	3	3				2
13				4	4	3	3				2
12				5	5	3	3			1	6
11				6	6	3	3			1	6
21				6	6	3	3			1	6
22				7	5	3	4			1	6
23				5	5	3	3				6
24				5	5	4	4			1	6
25				5	5	4	4				6
26				5	7	6	5	F2	II	3	6
27				6	5	5	4		I		6
28				5	5	4	4				2
38				3	3	3	3				2
37				4	4	3	3				2
36				12	12	7	7	F2	III	2	8
35				6	6	5	4		I	2	2
34				5	7	4	4		II		2
33				4	4	3	3			2	2
32				4	4	4	4		I	2	6
31				4	4	4	6		II	2	6
41				4	4	3	4		I	2	6
42				4	4	3	3			2	6
43				4	4	3	3				2
44				3	3	3	3				2
45				3	3	3	3				2
46											
47				4	4	3	3				2
48				4	3	3	3				2
	60%	100%									4

ამ შემთხვევაში პაციენტის ეტიოტროპულ მკურნალობასთან ერთად ჩატარდა კბილი 3.6 ექსტრაქცია. მკურნალობის შემდეგ გამოვლინდა კლინიკური სურათის სარწმუნო გაუმჯობესება, ასევე, პაროდონტული მარკერების რაოდენობრივი და თვისობრივი სრული ელიმინაცია და ჩატარდა 3.6 მიდამოს იმპლანტაცია (სურათი N 12 ა.ბ).



ა.



ბ.

სურათი N 12. მკურნალობის შემდეგ

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობის შემდეგ:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg): -

Prevotella intermedia (Pi): -

Bacteroides forsythus (Bf): -

Treponema denticola (Td):

6. პაციენტი მ.ფ. 46 წლის საშუალო სიმძიმის ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია II B დონე (სურათი N 13 ა,ბ,გ).
კლინიკური გამოკვლევის შედეგად პაციენტს აღენიშნა:

- კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 4-5 მმ,
- პაროდონტული ჯიბის სიღრმე 5- მმ-მდე,
- BOP - 50% ,
- რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა,
- პირის ღრუს არადაამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა.



ა.



ბ.



გ.

სურათი N 13. მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან მკურნალობამდე (ა,ბ)
და პაციენტის ორთოპანტომოგრაფია (გ).

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობამდე:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg): ++

Prevotella intermedia (Pi): ++

Bacteroides forsythus (Bf): +

Treponema denticola (Td):

პაციენტის პაროდონტული რუკა

	ს.ი	ნ.ი	ექ.	მ.ზ	დ.ზ	გ.ზ	ო.ზ	ფ.დ.	კ.მ	ღ.რ	პ.ი
18											
17				4	4	3	3				2
16				5	5	4	4			1	6
15				6	6	5	5			1	6
14				5	6	4	4				6
13				4	4	3	3				2
12				4	4	3	3				2
11				4	4	3	3				2
21				4	4	3	3				2
22				4	4	3	3				2
23				4	4	3	3				2
24				4	4	3	3				2
25				5	5	3	3				6
26				5	7	6	3				6
27				6	5	5	3				6
28											
38											2
37				4	4	4	4				2
36				4	5	4	4				2
35				4	4	3	3				2
34				4	4	3	3				2
33				4	4	3	3				2
32				4	4	3	3				2
31				4	4	3	3				2
41				4	4	3	3				2
42				4	4	3	3				2
43				4	4	3	3				2
44				4	4	4	4				2
45				4	4	4	4				2
46				5	5	4	4				2
47				5	5	4	4				2
48				4	4	3	3				2
	50%	100%									2.8

მკურნალობის შემდეგ გამოვლინდა კლინიკური სურათის სარწმუნო გაუმჯობესება (სურათი N 14) და პაროდონტული მარკერების სრული ელიმინაცია.



სურათი N 14. მკურნალობის შემდეგ

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობის შემდეგ:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg): -

Prevotella intermedia (Pi): +

Bacteroides forsythus (Bf): -

Treponema denticola (Td):-

7. პაციენტი ა.მ. 30 წლის საშუალო სიმძიმის ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია I B დონე (სურათი N 15. ა,ბ,გ,დ).

კლინიკური გამოკვლევის შედეგად პაციენტს აღენიშნა:

- კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 4-5 მმ,
- პაროდონტული ჯიბის სიღრმე 5- მმ-მდე,
- BOP - 100% ,
- რენტგენოლოგიურად ძვლის ჰორიზონტული რღვევა,
- პირის ღრუს არადაამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა.



ა.



ბ.



გ.



დ.

სურათი N 15. მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან მკურნალობამდე (ა,ბ,გ)

და პაციენტის ორთოპანტომოგრამა (დ).

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობამდე:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg): +++

Prevotella intermedia (Pi): ++

Bacteroides forsythus (Bf): ++

Treponema denticola (Td):-

პაციენტის პაროდონტული რუკა

	ს.ი	ნ.ი	ექ.	მ.ზ.	დ.ზ.	ვ.ზ.	ო.ზ.	ფ.დ.	კ.მ.	დრ.	პ.ი.
18				5	4	4	4				2
17				5	5	4	4				6
16				5	6	3	5				6
15				5	5	3	5				6
14				5	5	4	4			1	2
13				4	4	4	4			1	2
12				4	4	4	4				2
11				4	4	4	4			1	2
21				4	4	4	4				2
22				4	4	4	4				2
23				5	5	4	4			1	2
24				5	5	4	4			1	2
25				5	5	3	3			1	6
26				5	6	3	3			1	6
27				5	5	3	3				6
28				3	3	4	4				2
38				3	3	4	4				2
37				6	4	4	4				2
36				5	6	4	4				2
35				4	5	4	4				2
34				4	4	4	4				2
33				4	4	4	4				2
32				4	4	4	4				6
31				4	4	4	4			1	6
41				4	4	4	4			1	6
42				4	4	4	4				6
43				5	5	4	4				2
44				4	4	4	4				2
45				4	5	3	3				2
46				5	5	3	3				2
47				5	4	3	3				6
48				3	3	3	3				2
	100%	90%									3.3

მკურნალობის შედეგად კლინიკური სურათის სარწმუნო გაუმჯობესების და პაროდონტული მარკერების სრული ელიმინაციის შემდეგ, პაციენტთან ჩატარდა ორთოდონტული მკურნალობა. (სურათი N 16).



სურათი N 16. მკურნალობის შემდეგ

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობის შემდეგ:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg): -

Prevotella intermedia (Pi): -

Bacteroides forsythus (Bf): -

Treponema denticola (Td):-

8. პაციენტი ს.მ. 24 წლის საშუალო სიმძიმის ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია I B დონე (სურათი N 17 ა,ბ).

კლინიკური გამოკვლევის შედეგად პაციენტს აღენიშნა:

- ღრძილის კიდეის დეფორმაცია,
- კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 4-5 მმ,
- პაროდონტული ჯიბის სიღრმე 5- მმ-მდე,
- BOP – 100% ,
- რენტგენოლოგიურად ძვლის ჰორიზონტული რღვევა,
- პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა.



ა.



ბ.

სურათი N 17. მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან მკურნალობამდე (ა)

და პაციენტის ორთოპანტომოგრამა (ბ).

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობამდე:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg): +++

Prevotella intermedia (Pi): ++

Bacteroides forsythus (Bf): ++

Treponema denticola (Td):-

პაციენტის პაროდონტული რუკა

	ს.ი	ნ.ი	ექ.	მ.ზ.	დ.ზ.	ვ.ზ.	ო.ზ.	ფ.დ.	კ.მ.	ღ.რ.	პ.ი.
18				5	6	3	3				6
17				5	7	4	4				6
16				4	4	4	4				2
15				4	4	3	3				2
14				4	4	3	3				2
13				4	4	3	3				2
12				4	4	3	3				2
11				4	4	3	3				2
21				4	4	3	3				2
22				4	5	3	3				2
23				4	4	3	3				2
24				4	4	3	3				2
25				5	5	4	4				6
26				5	5	4	4			1	6
27				5	6	4	4			1	6
28				6	6	4	4				6
38				5	4	4	4				6
37				6	7	4	4				6
36				5	6	4	4			1	6
35				4	4	4	3				2
34				4	4	4	3				2
33				4	4	4	3				2
32				4	4	3	3				2
31				4	4	3	3				2
41				4	4	3	3				2
42				4	4	3	3				2
43				4	4	3	3				2
44				4	4	3	3				2
45				4	4	3	3				2
46				6	5	4	5	F1	I	1	6
47				5	4	4	4				6
48				5	4	4	4				2
	100%	100%									3.1

მკურნალობის შემდეგ გამოვლინდა კლინიკური სურათის სარწმუნო გაუმჯობესება (სურათი N 18). ასევე, პაროდონტული მარკერების რაოდენობრივი და თვისობრივი სრული ელიმინაცია.



სურათი N 18. მკურნალობის შემდეგ

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობის შემდეგ:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) :-

Porphyromonas gingivalis (Pg) :-


Prevotella intermedia (Pi) :-

Bacteroides forsythus (Bf) :-

Treponema denticola (Td) :-

პაროდონტული მარკერების მაჩვენებლები ვექტორ სისტემით მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ

დიაგრამა N 3



3.2.2 II ჯგუფი - მკურნალობა დიოდური ლაზერით

დიოდური ლაზერის გამოყენებისას ყველა პაციენტის ეტიოტროპული მკურნალობა მოიცავდა:

- ინდივიდუალური ჰიგიენის წესების შესწავლას,
- პირის ღრუს პროფესიულ ჰიგიენას ულტრაბგერის სისტემით,
- პაროდონტულ ჯიბეთა დამუშავებას დიოდური ლაზერით,
- საჭიროებისამებრ ორთოპედიულ, ორთოდონტულ და ქირურგიულ მკურნალობას.

მკურნალობის შემდეგ გამოვლინდა კლინიკური სურათის გაუმჯობესება: ღრძილი ღია ვარდისფერი, ანთებითი ნიშნების გარეშე. პაროდონტული ჯიბის სიღრმის შემცირება, რენტგენოლოგიური კვლევით არ პროგრესირებს ძვლოვანი ქსოვილის დესტრუქცია. თუმცა, პაროდონტული მარკერების რაოდენობრივი და თვისობრივი ელიმინაცია სრულად არ გამოვლინდა.

1. პაციენტი ი.კ. 20 წლის ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია II A დონე (სურათი N 19 ა,ბ,გ)

კლინიკური გამოკვლევის შედეგად პაციენტს აღენიშნა:

- ღრძილის კიდის დეფორმაცია,
- კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 4 მმ,
- პაროდონტული ჯიბის სიღრმე 4-5 მმ-მდე,
- BOP - 36% ,
- რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა,
- პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა.



ა.



ბ.



ბ.

სურათი N 19. მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან მკურნალობამდე (ა,ბ)
და პაციენტის ორთოპანტომოგრამა (გ).

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობამდე:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg) : +++

Prevotella intermedia (Pi) : +++

Bacteroides forsythus (Bf): -

Treponema denticola (Td) : ++

პაციენტის პაროდონტული რუკა

	ს.ი	ნ.ი	ექ.	მ.ზ	დ.ზ	ვ.ზ	ო.ზ	ფ.დ.	კმ	ღ.რ	პ.ი
18				4	4	3	3				2
17				4	4	3	3				2
16				4	4	3	3				2
15											
14				4	4	3	3				2
13				3	3	3	3				2
12				3	3	3	3				2
11				4	3	3	3				2
21				3	3	3	3				2
22				3	3	3	3				2
23				3	3	3	3				2
24				4	4	3	3				2
25				5	5	3	3			1	6
26											
27				6	4	3	3		I	1	6
28				3	3	3	3				2
38				4	4	3	3				2
37				4	3	3	3				2
36				4	5	3	3		I		2
35				4	4	3	3				2
34				4	4	3	3				2
33				3	3	3	3				2
32				3	3	3	3				2
31				3	3	3	3				2
41				3	3	3	3				2
42				3	3	3	3				2
43				3	3	3	3				2
44				3	3	3	3				2

45			3	3	3	3				2
46			3	4	3	3				2
47			3	3	3	3				2
48			4	3	3	3				2
	36%	100%								2

მკურნალობის შემდეგ გამოვლინდა კლინიკური სურათის გაუმჯობესება (სურათი N 20) ხოლო პაროდონტული მარკერების ნაწილობრივად რიცხობრივი შემცირება .



სურათი N 20. მკურნალობის შემდეგ

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობის შემდეგ:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg) : ++

Prevotella intermedia (Pi): ++

Bacteroides forsythus (Bf): -

Treponema denticola (Td) : +

2. პაციენტი ნ.ჭ. 31 წლის ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია II B დონე (სურათი N 21 ა,ბ,გ).

კლინიკური გამოკვლევის შედეგად პაციენტს აღენიშნა:


- კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 4-5 მმ,
- პაროდონტული ჯიბის სიღრმე 6- მმ-მდე,
- BOP - 50% ,
- რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა,
- პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა.



ა.



ბ.



გ.

სურათი N 21. მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან მკურნალობამდე (ა,ბ)
და პაციენტის ორთოპანტომოგრაფია (გ).

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობამდე:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg) : ++

Prevotella intermedia (Pi) : +++

Bacteroides forsythus (Bf) : ++

Treponema denticola (Td) : ++

პაციენტის პაროდონტული რუკა

	ს.ი	ნ.ი	ექ.	მ.ზ	დ.ზ	ვ.ზ	ო.ზ	ფ.დ.	კ.მ	ღ.რ	პ.ი
18				4	4	3	3				2
17				5	5	3	3			1	6
16				6	5	4	3			1	6
15				5	6	5	3		I		6
14				4	4	3	3				2
13				4	4	3	3				2
12				4	4	3	3				2
11				4	4	3	3				2
21				4	4	3	3				2
22				4	3	3	3				2
23				4	4	3	3				2
24				4	4	3	3				2
25				5	5	3	3		I		6
26				5	5	3	3				6
27				5	5	4	3			1	6
28				5	6	3	3				6
38				5	4	3	3				6
37				5	5	4	3				6
36				5	6	4	3		I		6
35				4	4	3	3				2
34				4	4	3	3				2
33				4	4	3	3				6
32				4	4	3	3				2
31				4	4	3	3				2
41				4	4	3	3				2
42				4	4	3	3				2
43				4	4	3	3				2
44				4	4	3	3				2
45				4	5	3	3				2

46				4	6	3	3				6
47				3	7	3	3		1	1	6
48				7	5	4	3				6
	50%	100%									3.7

მკურნალობის შემდეგ გამოვლინდა კლინიკური სურათის გაუმჯობესება (სურათი N 22) არ აღინიშნა პაროდონტული მარკერების სრული ელიმინაცია.



სურათი N 22. მკურნალობის შემდეგ მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობის შემდეგ:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg) : -

Prevotella intermedia (Pi) : +

Bacteroides forsythus (Bf): +

Treponema denticola (Td) : +

3. პაციენტი ი.ა. 20 წლის ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია I A დონე (სურათი N 23 ა,ბ,გ).

კლინიკური გამოკვლევის შედეგად პაციენტს აღინიშნა:

- ღრძილის კიდეის დეფორმაცია,
- კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 4 მმ,
- პაროდონტული ჯიბის სიღრმე 4-5 მმ-მდე,
- BOP – 33 % ,
- რენტგენოლოგიურად ძვლის ჰორიზონტული რღვევა,
- პირის ღრუს არადაამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა.



ა.



ბ.



გ.

სურათი N 23. მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან მკურნალობამდე (ა,ბ) და პაციენტის ორთოპანტომოგრამა (გ).

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობამდე:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : +++

Porphyromonas gingivalis (Pg): +++

Prevotella intermedia (Pi): -

Bacteroides forsythus (Bf): +++

Treponema denticola (Td):+++

პაციენტის პაროდონტული რუკა

	ს.ი	ნ.ი	ექ.	მ.ზ.	დ.ზ.	ვ.ზ.	ო.ზ.	ფ.დ.	კ.მ.	ღ.რ.	პ.ი.
18											2
17				5	5	4	3				6
16				5	5	4	3				6
15				4	4	3	3				2
14				4	4	3	3				2
13				4	4	3	3				2
12				4	4	3	3				2
11				4	4	3	3				2
21				4	4	3	3				2
22				4	4	3	3				2
23				4	4	3	3				2
24				4	4	3	3				2
25				4	4	3	3				2
26				5	5	4	3				6
27				5	5	4	3				6
28				4	4	3	3				2
38											
37				4	4	3	3				2
36				4	4	3	3				2
35				4	4	3	3				2
34				4	4	3	3				2
33				4	4	3	3				2
32				4	4	3	3				2
31				4	4	3	3				2
41				4	4	3	3				2
42				4	4	3	3				2
43				4	4	3	3				2
44				4	4	3	3				2
45				4	4	3	3				2

46				4	4	3	3				2
47				4	4	3	3				2
48											
	33%	100%									2.4

მკურნალობის შემდეგ გამოვლინდა კლინიკური სურათის გაუმჯობესება (სურათი N 24). თუმცა, პაროდონტული მარკერების სრული რაოდენობრივი და თვისობრივი ელიმინაცია არ გამოვლინდა.



სურათი N 24. მკურნალობის შემდეგ

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობის შემდეგ:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : +

Porphyromonas gingivalis (Pg): +

Prevotella intermedia (Pi): -

Bacteroides forsythus (Bf): +

Treponema denticola (Td):+

4. პაციენტი ნ.ჯ. 36 წლის, ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია II B დონე (სურათი N 25 ა,ბ,გ).

კლინიკური გამოკვლევის შედეგად პაციენტს აღენიშნა:

- კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 4-5 მმ,
- პაროდონტული ჯიბის სიღრმე 5- მმ-მდე,
- BOP - 45% ,
- რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა,
- პირის ღრუს არადაამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა.



ა.



ბ.



ბ.

სურათი N 25. მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან მკურნალობამდე (ა,ბ) და პაციენტის ორთოპანტომოგრამა (გ).

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობამდე:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg): ++

Prevotella intermedia (Pi): +++

Bacteroides forsythus (Bf): ++

Treponema denticola (Td): ++

პაციენტის პაროდონტული რუკა

	ს.ო	ნ.ო	ქვ.	მ.ზ	დ.ზ	ვ.ზ	ო.ზ	ფ.დ.	კ.მ	ღ.რ	პ.ო
18				4	4	3	3				2
17				4	4	3	3				2
16				5	6	4	3			1	6
15				4	4	3	3				2
14				4	4	3	3				2
13				3	3	3	3				2
12				3	4	3	3				2
11				3	4	3	3				2
21				3	4	3	3				2
22				3	4	3	3				2
23				4	3	3	3				2
24				4	4	3	3				2
25				5	5	3	3				6
26				5	5	4	3			1	6
27				4	4	3	3			1	2
28				4	4	3	3				2
38				4	4	3	3				2
37				4	4	3	3				2
36				4	4	3	3				2
35				4	4	3	3				2
34				4	4	3	3				2
33				5	4	3	3				6
32				5	4	3	3				6
31				5	4	3	3				6
41				5	4	3	3				6
42				4	4	3	3				6
43				4	4	3	3				2
44				4	4	3	3				2
45				4	4	3	3				2
46				5	5	3	3				6

47				4	4	3	3				2
48				4	4	3	3				2
	45%	100%									3

მკურნალობის შემდეგ გამოვლინდა კლინიკური სურათის გაუმჯობესება (სურათი N 26 ა,ბ)პაროდონტული მარკერების ელიმინაცია სრულად არ გამოვლინდა.



ა.



ბ.

სურათი N 26. მკურნალობის შემდეგ (ა.ბ.)

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობის შემდეგ:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg): +

Prevotella intermedia (Pi): -

Bacteroides forsythus (Bf): ++

Treponema denticola (Td): ++

5. პაციენტი თ.ა. 31 წლის, ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი სტადია II B დონე (სურათი N 27 ა,ბ).

კლინიკური გამოკვლევის შედეგად პაციენტს აღენიშნა:

- კბილ-ღრძილოვანი შენაერთის დანაკარგი (CAL) 5-8 მმ-მდე,
- პაროდონტული ჯიბის სიღრმე 6- მმ-ზე მეტი,
- BOP - 60% ,
- რენტგენოგრაფიულად ძვლის ჰორიზონტული რღვევა,
- პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა.



ა.



ბ.

სურათი N 27. მკურნალობამდე მასალის აღება პაროდონტული ჯიბიდან (ა)
და პაციენტის ორთოპანტომოგრაფია (ბ)

მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგი მკურნალობამდე:

Actinobacillus actinomycetemcomitans (Aa) : -

Porphyromonas gingivalis (Pg): ++

Prevotella intermedia (Pi): ++

